შიოს მპარანი

(რაზომ ვამბობთ ასე?)

თბილისი „მერანი“ 1991

რედაქტორი მანანა სანადირაძე

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

წინასიტყვაობა

მხატვრული აზროვნება ეძველესი დროიდან მომდინარეობს. ის, ალბათ, პირველ მითთან თუ ლეგენდასთან ერთად დაიბადა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა აზრის სხარტად და ლამაზად ვადმოცემა. რითაც დასტურ. მდიდარია მითები და ლეგენდები.

მხატვრული მეტყველება განსხვავდება ჩვეულებრივი. საყოფაცხოვრებო მეტყველებისაგან... ასეთ გამოთქმებს ძველი დროის ღიდესი მოაზროვნე და პოეტი — ჰომეროსი „ფრთიან სიტყვებს“ უწოდებს.

მხოლოდ ყველაზე რჩეული და სწორად გააზრებული მხატვრული გამოთქმები დაიმკვიდრებენ ხოლმე ადგილს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. ასევე. მხოლოდ ყველაზე გამორჩეული ლიტერატურული და ისტორიული პირები ხდებიან ხოლმე მხატვრული აზროვნების სუბიექტები.

მხატვრული აზროვნების საგანძურს რამდენიმე წყარო ასაზრდოებს. ესაა მითოლოგია. „ბიბლია“ და სხვა... ამას ემატება მსოფლიო ლიტერატურის ზოგი კლასიკოსისა და ისტორიულ-ყოფითი სინამდვილიდან გამომდინარე გამონათქვამები და პერსონაჟთა სახეები. როგორიცაა. მაგალითად: „ფული არ ყარს“. „დონ კიხოტი“. „დამოკლეს მახვილი“. „ჩხირი კედელს“ და სხვა.

რომელიმე მწერლისაგან შექმნილ მხატვრულ სახეს. პერსონაჟს ან მხატვრულ გამონათქვამს ახალ სიცოცხლეს მომავალი თაობები აძლევენ და მერე იმკვიდრებენ ხოლმე ისინი ადგილს მხატვრული აზროვნების საგანძურში. მაგალითად: „ამით გათავდა შერი შერმადინობა?“ — მიმართა სიკვდილის წინ დათიკომ გაბროს.— „როგორი ავთანდილიც შენ იყავ. მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწევ!“ — მიუგო გაბრომ.

ეს დიალოგი მხოლოდ იმისთვისაა გასაგები. ვინც იცის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების — ავთანდილისა და მისი ქვეშევრდომის— შერმადინის ურთიერთობა.

ერთხელ. სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტის წინ ლამაზ ქალიშვილს ვესაუბრებოდი. უცებ მოგვიახლოვდა ჩემი თანაკურსელი — ასლან კორძაია და ცუღლუტური ღიმილით მანიშნა. ვინ არისო. მეც ვანიშნე: ჩემი შეყვარებულია და გაიარე-მეთქი. ასლა-

ნი მომიახლოვდა და ამ ქალიშვილსაც რომ გაეგონა, ყურთან მით-ხრა: „გიორგისებ?“ და ასევე ეშმაკური ღიმილით განაგრძო გზა.

რამდენ რამეს იტევს ეს ერთი სიტყვა იმისთვის, ვინც იცნობს ალექსანდრე ყაზბეგის ნოთხრობას „ხევისბერი გოჩა“, ხოლო ამ ნაწარმოების უცოდინარისათვის ეს არაფრისმთქმელია, მეტიც, უაზრობაა. მართალია, ამით ეს გამოთქმა არ დამკვიდრებულა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში, მაგრამ ასეც ხომ შეიძლება მოხდეს.

ქართულ ყოფასა და ლიტერატურაზე აღმოცენებული გამოთქმები საკმაოდაა შეტანილი წინამდებარე წიგნაკში. ვუსურვოთ, მათაც გაეკვლიოთ გზა მსოფლიო ლიტერატურის სარბიელზე.

წიგნაკში წარმოდგენილია მხატვრულ გამოთქმათა მხოლოდ მცირე, ჩვენი შეხედულებით ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირადხმარებული ნაწილი, თუმცა ზოგჯერ ისეთიც, რომელიც იშვიათად იხმარება. მაგრამ მოგვწონს და გვსურს, რომ დამკვიდრდეს ქართულ მწერლობასა და მეტყველებაში.

თუ ვინმეს მოესურვება რომელიმე გამოთქმის განმარტება და ამ წიგნაკში ვერ ნახავს, მას წინასწარ ვუხდით ბოდიშს, ხოლო თუ ვინმე ჩათვლის, ესა თუ ის გამოთქმა აქ არ იყო შესატანი, რა გაეწყობა: „ქვოტ კაპიტა, ტოტ სენტენცია“ — „რამდენიც თავია, აზრიც იმდენია“. ამიტომაც, ყველა საქმიან შენიშვნას და რჩევას დიდი სიამოვნებით მივიღებთ.

ნოდარ გაფრინდაშვილი

ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო — ვამბობთ მაშინ, როცა ვინმეს ან რაიმეს უვარგისობას, არარაობას, უნიათობას ვხედავთ: როცა მიგვაჩნია, რომ ამ საქმიდან, საგნიდან თუ პიროვნებიდან არა გამოვა რა.

ალალი შევარდნისნაირთა რიგის მტაცებელი ფრინველია და ამიტომ ეს გამოთქმა ასე უნდა იყოს გააზრებული: მოშინაურებული, გაწვრთნილი ალალი, ისევე როგორც მიმინო, ფრინველს დაიჭერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ არე-მარეში არის სანადირო ფრინველი. ისე კი, რაც არ უნდა ეცადოს, არაფერი გამოუვა. ასევე ადამიანი ვინმე ან რაიმე უვარგისის, უნიათოს, ფუჭისაგან კარგ შედეგს ვერ მიიღებს. რაც არ უნდა ეცადოს. დაახლოებით ასეთივე აზრს ატარებს გამოთქმა: „შეაყარე ცერცვი კედელს“.

აბუჩად აიგდო

„აბუჩ“ — უხამსი სტუმარი“ — განმარტავს სულხან-საბა. აქედან გამომდინარე, გამოთქმა „აბუჩად აიგდო“ ნიშნავს: არად ჩააგდო, არად მიიჩნია, არ დააფასა. „აბუჩ“ სიტყვა, ცხადია, აღნიშნავს ისეთ სტუმარს, რომელიც არც დაუპატიჟია მასპინძელს და არც იმსახურებს სტუმრის ღირსებას, თორემ, თუნდაც დაუპატიჟებელი სტუმარი ქართველ კაცს აბუჩად არც არასოდეს აუგდია და არც აიგდებს.

ადამის წლის

„ბიბლიის“ მიხედვით და საერთოდ ძველების წარმოდგენით ადამიანი ღმერთმა თიხისაგან შექმნა. ღმერთისაგან პირველად შექმნილ ადამიანს სწორედ ადამი ერქვა და, აქედან გამომდინარე, ყოველ ადამიანზე მეტი ხნისად ითვლება. გადატანითი მნიშვნელობით კი ეს გამოთქმა უპირველესად ნიშნავს ძალიან მოხუც ადამიანს, რომელმაც, თანამედროვეთა შეხედულებით, მოკვდავთათვის შესაფერის ასაკს გადააჭარბა. საერთოდ, ეს გამოთქმა შეიძლება გავრცელდეს მოძღვრებაზე, საგანზე და სხვა.

ასევე „ბიბლიის“ მიხედვით პირველი ქალი, ადამის მეუღლე, იყო ევა და ამიტომაც გვხვდება ასეთი გამოთქმაც: „ადამისა და ევასდროინდელი“.

ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი იჭერს

გამოთქმა მარტივად, მაგრამ გონივრულადაა გააზრებული: იგულისხმება, რომ ყოველი საქმის გაკეთებას თავისი ცოდნა სჭირდება.

ადამიანი იმ არე-მიდამოში, იმ საზოგადოებაში, იმ საქმიანობაში ბევრად უფრო კარგად ავლენს თავის ყოველგვარ ნიჭსა და უნარს, რომელთანაც მას ახლო ურთიერთობა აქვს.

ავგეას თავლა

ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად ავგეა ელიდის ერთ-ერთი, სიმუნწითა და სიმდიდრით სახელგანთქმული მეფე იყო. მას პირუტყვთა აუარებელი ჯოგი ჰყავდა და მისი უზარმაზარი თავლები ოცდაათი წლის განმავლობაში არ გაწმენდილა რადგან ავგეას ქონების დახარჯვა არ უნდოდა. ცხადია, ამის გამო ისინი ნაკელითა და სიბინძურით აივსო. სწორედ აქედან მომდინარეობს ეს გამოთქმაც „დიდი სიბინძურის ან რაიმე საქმეში დიდი აწეწილობის, არეულობის მნიშვნელობით.

საბერძნეთის სახელგანთქმულმა გმირმა — ჰერაკლემ, დადებული პირობის თანახმად, ახლოსგამდინარე მდინარეები გადაკეტა, ეზა ავგეას თავლებისაკენ მისცა და ამგვარად ერთ დღეში გაასუფთავა. აქედან მომდინარეობს გამოთქმა „ავგეას თავლების გაწმენდა". რაც დიდი ძალით, ენერგიით ან ვიხერხეულობით არეულ-დარეული, ჩახლართული საქმის გამოსწორებას, რაიმე სიბინძურიდან თავის დაღწევას ნიშნავს.

ავგურის ღიმილი

ძველ რომში არსებობდა ქურუმთა სახელგანთქმული კოლეგია, რომელიც, თითქოს, რომის დამაარსებელმა — რომულუსმა ჩამოაყალიბა. თავის დროზე ეს კოლეგია უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და მისი თანხმობის გარეშე სახელმწიფოებრივი დანიშნულების არცერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაიდგმებოდა. ეს კოლეგია გაბატონებული კლასის მხარეზე იყო და ქურუმთა ნამისნევი თითქმის ყოველთვის მათ სასარგებლოდ გამოდიოდა. მიკერძოებამ და ნამისნევის სიცბიერემ ამ კოლეგიას თანდათანობით გაუტეხა სახელი და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ავგურების საქმიანობამ ძალზე ფორმალური სახე მიიღო, თვითონაც კი ამრეზით დაუწყეს ყურება თავიანთ საქმიანობას. ციცერონისა და კატონის ეადმოცემით, მისნობის დროს ავგურები ერთიმეორეს ეშმაკურად გადახედავდნენ და სიცილს ძლივს იკავებდნენ, რადგან იცოდნენ, **რომ ისინიც ტყუილს ამბობდნენ** და არც მსმენელებს სჯეროდათ მათი, მაგრამ საქმეს ასე სჭირდებოდა. აი, აქედან მომდინარეობს ეს გამოთქმა და ვამბობთ იმის გასამარტავად, რომ მოსაუბრეც და მსმენელიც მაშინ იღიმება, როცა ყველაფერი, რაზეც ისინი საუბრობენ, სიცრუეა, მაგრამ ამით სხვას ეხმარენ თვალს.

აიბუეს

ასე იმ ადამიანზე, ბავშვზე ვამბობთ, რომელსაც ყველა ერიდება, სძულს. ბუ უწყინარი ფრინველია, ყოველ შემთხვევაში, ადამიანს არაფერს ერჩის, მაგრამ, ალბათ, იმის გამო, რომ მისი ერთი სახეობა ნასოფლარებში, ნამოსახლარებში ბინადრობს, ასეთი რწმენა შეიქმნა ხალხში: სადაც ბუ დაიბუდებს, ნასოფლარი, უკეთეს შემთხვევაში, ნამოსახლარი მაინც გაჩნდებაო. ამიტომაც, უბანში რომ ბუ გამოჩნდება, ზოგი თოფს ესვრის, ზოგი — მუგუზალს, ზოგი — ქვას და, ერთი სიტყვით, ვისაც რით შეუძლია, იმით ცდილობს სოფლიდან მის გაგდებას (მოკვლას ერიდებიან). აქედან გამომდინარე, ეს საგენია ამ სიტყვის წარმოშობის მიზეზი.

არის სხვა აზრიც, თითქოს გამოთქმა „აიბუეს“ იმიტომ ატარებს ამ მნიშვნელობას, რომ ბუ ღამის ფრინველია და დღისით ვერავის ეჩვენება. როგორც აბუებული ადამიანი (თ. სახოკია).

აინუნში არ მომდის

„აინ“ არაბული სიტყვაა და ქართულად „თვალს“ ნიშნავს. „აინუნ“ კი — თვალებს“. ე. ი. გამოთქმა „აინუნში არ მომდის“ დაახლოებით იმასვე ნიშნავს, რასაც „თვალში არ მომდის“, არ მომწონს, ძალად მიმაჩნია...

აკრძალული ხილი

„აკრძალული ხილი უფრო ტკბილია! — ხშირად გავიგონებთ საზოგადოებაში. ეს რომ ასეა, ყველასათვის ცნობილია, გამოთქმა კი „ბიბლიიდან“ მომდინარეობს. თითქოს, ღმერთმა რომ პირველი ადამიანები — ადამი და ევა შექმნა. საცხოვრებლად ყოველდღიანეტარო სამოთხე მიუჩინა და ნება დართო, ეჭამათ და ესვათ, რაც გაეხარდებოდათ, ოღონდ ერთ-ერთი მცენარის ნაყოფის გემოს გასინჯვა კი სასტიკად აუკრძალა. გაფრთხილების მიუხედავად და უფრო მეტად აკრძალვის გამო, ევას ცნობისმოყვარეობამ წაძლია და ეს მცენარის ნაყოფი ჯერ თვით შეჭამა და მერე ადამსაც აჭამა. თურმე ამ ხილს შეეძლო, ახლადშექმნილი არსებებისათვის თვალი აეხილა და მათ აზროვნება დაიწყეს, ავი და კარგი განასხვავეს. ამის გამო ისინი ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა და მამაკაცს უბრძანა. შენი ოფლით, შენივე შრომით ჭამე პური შენი და იარსებეო. ალბათ, ამიტომაა სწორედ უფრო ტკბილი აკრძალული ხილი.

ალფა და ომეგა

ალფა ძველბერძნული ანბანის პირველი ასოა, ომეგა კი — უკანასკნელი, მათ შორისაა მოქცეული ყველა ის ნიშანი, რომლითაც შეძლო ძველმა საბერძნეთმა ყოველივე ნაზრევისა და ნამოქმედარის

გადმოცემა. გამოთქმა ნიშნავს დასაწყისსა და დასასრულს, ყოველივეს, ადამიანის მთელ სიცოცხლეს. ამიტომაც გვხვდება *α* და *ω* ძველ კედლის მხატვრობებში, წარწერებში და სხვა.

ამბროსია და ნექტარი

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით ამბროსია ოლიმპიელი ღმერთების საჭმელია, ნექტარი კი — სასმელი. ამათი მიღებით ისინი მარადიულ სიცოცხლესა და სიყმაწვილეს ინარჩუნებენ. „ბროტოს“ „მოკვდავს“ ნიშნავს ძველბერძნულად, „აბროტოს“ — „უკვდავს“, „ამბროსია“ კი „აბროტოს“-იდანაა მიღებული და დაახლოებით „უკვდავებას“ ნიშნავს.

ამბროსიის მიღება უკვდავებაში ფეხის ჩადგმას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით, ნექტარს კი უწოდებენ მეტად სასიამოვნო სუნისა და გემოს სასმელს. ნექტარი ჰქვია აგრეთვე მცენარეთა ყვავილების წვენს, რითაც ფუტკარი თაფლს ამზადებს. ერთად აღებული გამოთქმა „ამბროსია და ნექტარი“ ნიშნავს დიდ ბედნიერებას, სიტკბოებას, უკვდავებას. „ამბროსიულს“ ხშირად „ღვთაებრივის“ მნიშვნელობითაც ხმარობენ.

ამორძალი

განსაკუთრებით ძველბერძნულ და სხვა ხალხთა მითებშიც გარკვეული ადგილი უჭირავთ მებრძოლ ქალებს, რომლებიც სხვადასხვა მწერლის ცნობით სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ. ისინი მამაკაცებისადმი ზიზღით გამოირჩეოდნენ, მაგრამ გარკვეულ დროს მათ შთამომავლობის გასაგრძელებლად მაინც უკავშირდებოდნენ. ამ კავშირის შემდეგ ისინი კვლავ თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ და თუ ვაჟი შეეძინებოდათ, ან მამასთან გზავნიდნენ, ან ასახიჩრებდნენ და მერე შავ სამუშაოზე იყენებდნენ. ხოლო, თუ ქალი დაბადებოდა, შეომრად ზრდიდნენ. ამორძალები (ბერძნულად ამაძონები) დიდი სილამაზით, სიმამაცითა და სიძლიერით გამოირჩეოდნენ. აქედან გამომდინარე ქართულ ენაშიც დაიმკვიდრა ადგილი „ამაძონის“ სახეშეცვლილმა ფორმამ „ამორძალი“ ლამაზი, მამაცი და ძლიერი, მამაკაცებისაგან განდგომილი ქალიშვილის მნიშვნელობით. იგივე სახელი მედიცინის ენაზე ეწოდება ქალებს, რომელთაც მოკვეთილი აქვთ ცალი ძუძუ; ამისი მიზეზი ის არის, რომ, მითების თანახმად, ამაძონები ახლადშობილ გოგონებს მარცხენა ძუძუს ამოუშანავენ ხოლმე, რომ მშვილდისა და სხვა იარაღის ხმარებაში ხელ- არ შეეშალა. ზოგი მკვლევარის აზრით „ამაძონიც“ ამ მითთანაა კავშირში. რადგანაც ბერძნულად „ძუძუს“ „მაძოს“ ჰქვია, „ა“ კი უარყოფითობის მაწარმოებელი ნიშანია და. აქედან გამომდინარე, „ამაძონ- „ღძუძუოს“ ნიშნავს.

ანთეოსი (ანტეოსი)

ანთეოსის ჭუსტი ბერძნული სახელია ანტაიოსი. იგი იყო პოსეიდონისა და გეას ვაჟი, ლიბიის (აფრიკის) მბრძანებელი. ანთეოსი თუ დედამიწაზე იდგა, მისი დამარცხება არავის შეეძლო, რადგან დედამისი გეა (დედამიწა) მას დაუშრეტელ ძალას ანიჭებდა. ჰერაკლემ გაიგო ეს საიდუმლო, ჰაერში აიტაცა იგი და ისე მოკლა. გადატანითი მნიშვნელობით ანთეოსს ეუწოდებთ ადამიანს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მშობელ ხალხთან, თავის ქვეყანასთან, რაც მას ამოუწურავ ძალას აძლევს.

აპოლონი

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით აპოლონი იყო მზის, სიყმაწვილის, პოეზიის, მუსიკის, ყოველივეკარი სიმშვენიერის ღმერთი, ზევსისა და ლეტოს ვაჟი, ორფეოსის მამა. ჩვეულებრივ, მას ახალგაზრდა, ულამაზეს მამაკაცად გამოსახავდნენ ხელოვნებაში. გადატანითი მნიშვნელობითაც აპოლონს ახალგაზრდა, ლამაზ მამაკაცს ეუწოდებენ.

არგუსი

ფხიზელ, ერთგულ მცველს ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით. იგი ზევსისა და ნიობეს ვაჟი იყო და ჰქონდა მრავალი თვალი. ძილის დროს მისი თვალების ერთი ნაწილი ფხიზლობდა. ამიტომაც ჰერამ იგი დარაჯად დაუყენა ზევსისაგან განგებ ფურადღებულ იოს, რადგანაც ქალღმერთი თავისი მეუღლის და იოს ურთიერთობაზე ეჭვიანობდა.

არსენა

„ვინ თქვა, არსენა მოკვდაო". გავიგონებთ ხშირად ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. არსენა საქართველოს სახალხო გმირია. მისი მხატვრული სახე შექმნა როგორც ზეპირსიტყვიერებამ, ისე ქართულმა მწერლობამ (ს. შანშიაშვილი, მ. ჯავახიშვილი). როგორც მ. ჯავახიშვილის რომანის, ისე ხალხური „არსენას ლექსის" მიხედვით (უნდა ვიფიქროთ სინამდვილეშიც), არსენას შესანიშნავი ცხენი ჰყავდა. ამიტომაა, რომ ახლა, როცა არც თუ ისე საქებარ ცხენოსანს დავინახავთ, ხუმრობით, ირონიით ვამბობთ: „ვინ თქვა, არსენა მოკვდაო". ასევე, არსენა იყო ბერი, რომელიც „მდიდარს ართმევდა, და ღარიბს აძლევდა". სუსტისა და დაჩაგრულის ქომაგი. ამ გაგებითაც ვარგ. ხალხისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს დღესაც ამ სახელით მოვიხსენიებთ ზოგადად.

არიადნეს ძაფი (გორგალი)

კუნძულ კრეტაზე, დედალოსისაგან გამოკვეთილ ლაბირინთში, ძველების წარმოდგენით, ბინადრობდა საშინელი ურჩხული — მინოტავ-

ოანე მინოსის ხარი, რომლისათვისაც, მინოსისაგან ათენელებისადმი დადებული ხარკის შესაბამისად, ყოველწლიურად უნდა გაეგზავნათ შვიდი ქალ-ვაჟი.

ათენელებს რომ ამ ხარკმა დიდი ზარალი მიაყენა, ცნობილი ათენელი გმირი თეზევსი ნებაყოფლობით წავიდა ამ ურჩხულის საწინააღმდეგოდ. მისვლისას თეზევსმა შეიტყო, რომ ურჩხულის მოკვლის შემთხვევაში თვითონაც დაიღუპებოდა, რადგანაც ლაბირინთიდან ვერ ვერაერ გამოიკვლევდა.

ამით დამწუხრებული და დაფიქრებული თეზევსი ნახა და შეიყვარა კრეტის მეფის — მინოსის ქალიშვილმა არიადნემ. მან ყველაფერი იცოდა ლაბირინთისა და მინოტავრის შესახებ და ამიტომაც თეზევსს წელზე ძაფი გამოაბა და ლაბირინთში ისე შეუშვა. ძაფის მეორე ბოლო ქალმა ლაბირინთის შესასვლელში დაამაგრა. თეზევსმა რომ მინოტავრი მოკლა, ამ ძაფს გამოჰყვა და მხოლოდ ამიტომ შეძლო ლაბირინთიდან გამოსვლა. ამიტომაა, რომ ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალ საშუალებას „არიადნეს ძაფს“ (გორგალს) უწოდებს მთელი ცივილიზირებული კაცობრიობა.

არქიმედეს ბერკეტი

სახელგანთქმული ბერძენი მათემატიკოსი და მექანიკოსი არქიმედე სერაკუზელი ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში. მან დაამტკიცა, რომ სითხეში ჩაძირულ სხეულზე მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც მისგან გამოდევნილი სითხის წონის ტოლია. მანვე აღმოაჩინა ეგრეთწოდებული ბერკეტის მეთოდიც და სრულიად სამართლიანად განაცხადა: „მომეცით საყრდენი წერტილი და მე გადავაბრუნებ დედამიწას“ (ბერკეტით). აქედან გამომდინარე, არქიმედეს ბერკეტს ახლა ვუწოდებთ რაიმე დიდ ძალას, რომელსაც, კარგად გამოყენების შემთხვევაში, სასწაულის მოხდენაც კი შეუძლია. ეს ტერმინი ფართოდაა გამოყენებული მექანიკაში.

არც მწვადი დაწვა არც შამფური...

გამოთქმა ნიშნავს საქმის ისე გაკეთებას, რომ არავინ დაზარალდეს, საქმის არცერთი მხარე არ დაზიანდეს. სიტყვა „მწვადი“ წვის პროცესზე მიუთითებს და, აქედან გამომდინარე, წვადასრულებული მწვადი უკვე არც სახელს და არც დანიშნულებას აღარ ამართლებს. კარგმა მზარეულმა, მართლაც, არც მწვადი უნდა დაწვას (შეწვას ბოლომდე) და, მითუმეტეს, არც შამფური.

ასკლეპიოსი

ასკლეპიოსი ბერძნულად და ესკულაპი ლათინურად ჰქვია ძველბერ-

ძველ მითოლოგიაში კარგად ცნობილ მკურნალობის მფარველ ღვთაებას. გადატანითი მნიშვნელობით ასკლეპიოსს ან ასკლეპიოსის შვილებს ვუწოდებთ ექიმებს.

ასტრეიის ხანა||საუკუნე

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით ასტრეია სამართლიანობის მფარველი ღმერთქალის — დიკეს (სამართალს ნიშნავს) ზედმეტი სახელია (ასტერ — ვარსკვლავი). დიკე ანუ სამართლიანობა ქვეყანას ოქროს საუკუნეში მართავდა და მაშინ მთელ დედამიწაზე სიმართლე, სიმდიდრე და ბედნიერება სუფევდა. როცა ადამიანთა ხასიათები შეირყვნა და ცხოვრების ნირი უარესით შეიცვალა, დიკე ცაში დაბრუნდა და „ქალიშვილის თანავარსკვლავედად“ იქცა. გამოთქმა ბედნიერად განვლილი დროის აღსანიშნავად იხმარება.

ატლასი||ატლანტი

ეს სახელი ჰქვია: ატლანტის ოკეანეს, ატლასის მთებს, გეოგრაფიული რუკების კრებულს, შენობათა ფასადებზე მდგომარე მამაკაცთა გამოსახულებებს, რომლებიც ზოგჯერ საყრდენი ბოძების როლსაც ასრულებენ, კისრის პირველ მალას. ატლანტის ოკეანეში ჩაძირულ მითიურ კუნძულს (ატლანტიდა)... და ყველა ეს დაკავშირებულია მითიურ ტიტან ატლანტ||ატლასთან.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღმერთების წინააღმდეგ აჯანყებული ატლანტი იმით დასაჯეს, რომ აიძულეს თავისი მხრებით დაეშალრებინა ცის თაღი. იგი მტკიცედ იდგა დედამიწაზე და მხრებით, თავით და ხელებით ცის თაღი ეჭირა. ამ მდგომარეობაშია გამოსახული იგი შენობათა ფასადებზე, ამ ფორმით გამოხატეს პირველ გეოგრაფიულ რუკათა კრებულებზე და ამ კრებულებს ატლასი შეარქვეს. გვიანდელი მითებისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით ატლანტი ბოლოს ატლასის მთებად იქცა. ამისი მიზეზია ის, რომ, ძველების წარმოდგენით, ატლასის მთებს ცისთვის ჰქონდათ მიბჯენილი წვერები. კისრის პირველი მალისათვის ატლასის სახელის დარქმევა მეტად საინტერესოდაა გააზრებული. საქმე ისაა, რომ ატლანტი იდგა გეას (მიწას) და ურანოსს (ცას) შორის და მათ კვლავშეერთების საშუალებას არ აძლევდა. ადამიანის თავი, როგორც აზროვნებისა და არამიწიური ბრძნობების ორგანო, გააზრებულია ცად, ტანი კი — მიწად. ატლასის მალა დგას მათ შორის და ციურს მიწიურისაგან გამოჰყოფს.

აქილევსის ქუსლი

აქილევსი ძველბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საინტერესო გმირია. იგი მირმიდონელთა მეფის — მოკვ-

დავი პელევსისა და ღმერთქალ თეტიდას ვაჟია. რადგანაც აქილევსის სხეულში მოკვდავი მამის სისხლი ჩქეფდა, მოსიყვარულე დედამ ეადაწყვიტა, რაიმე საშუალებით უკვდავად ექცია შვილი. ამისათვის იგი ბავშვს დღისით ამბროსიასა და ნექტარში (ვარიანტით ღვთაებრივ სტიქსის (მდინარეა) წყალში) აბანავებდა, ღამ-ღამობით კი ღვთაებრივი ცეცხლის ალზე რუჯავდა. ორივე შემთხვევაში დედას ბავშვი ცალი ქუსლით ეჭირა და მასზე არც ღვთაებრივი სითხე ხვდებოდა და არც ცეცხლის ალი.

ერთხელ, როცა თეტიდა აქილევსს ცეცხლის ალზე რუჯავდა, პელევსმა დაინახა და დაიყვირა. ამით მან ღვთაებრივი განჩინება დაარღვია და დედამ შვილის უკვდავყოფა ვეღარ შეძლო. აქილევსის სხეული თითქმის უვნებელი იყო, მაგრამ მისი ხსენებული ქუსლი მოკვდავი ადამიანის ქუსლად დარჩა. ამიტომაც, ტროას ომის

-ros პარისმა, აპოლონ ღმერთის შთაგონებით, ქუსლში მოახვედრა აქილევსს ისარი და ასე მოკლა.

ამიტომაც, გამოთქმა „აქილევსის ქუსლი“ ნიშნავს რაიმე მოძღვრების, მოვლენის, საქმის, მრწამსის, პიროვნების... ერთადერთ სუსტ ადგილს, რაც, დღეს იქნება თუ ხვალ, მისი დაღუპვის მიზეზი გახდება.

აქილევსის ფარი

მას შემდეგ, რაც აქილევსის მეგობარი — პილადე ავამემნონმა მოკლა და აქილევსის საჭურველიც ხელთ იგდო (პილადეს ჰქონდა). დეიდის — თეტიდას თხოვნით ჰეფესტომ აქილევსს გამოუჭედა ღვთაებრივი აბჯარი და მათ შორის არაჩვეულებრივი ხელოვნებით შესრულებული ფარი, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჰომეროსის „ილიადაში“ (მეთვრამეტე სიმღერა). გადატანითი მნიშვნელობით მიუწვდომელი ოსტატობით შესრულებულ ხელოვნების შედევრს ეუწოდებთ.

ბაბილონი

„ბიბლიის“ მიხედვით ისტორიულ ქალაქ ბაბილონში დაგროვდა და გამრავლდა მრავალი ადამიანური ცოდვა-ბრალი: მრუშობა, მზაკვრობა, კაცისკვლა, ბეზღება, სიცრუე და სხვა, რისთვისაც ქალაქი ღმერთმა სასტიკად დასაჯა. ბაბილონს გადატანითი მნიშვნელობით ახლა დიდ, გარყვნილებითა და აღვირახსნილობით განთქმულ ქალაქს უწოდებენ. ბაბილონი „ბიბლიაში“ ასეთ კონტექსტშიც ხშირადაა მოხსენიებული.

ბაბილონის გოდოლი

„ბიბლიის“ მიხედვით ბაბილონელებზე ღმერთის განრისხების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ აქ გადაწყვიტეს, აეგოთ კოშკი, რო-

მელიც ცაში, ღმერთამდე მიაღწევდა. როდესაც კოშკი საკმაოდ მაღლა ასწიეს და ღმერთმა ამის შესახებ გაიგო, განრისხდა და მანამდე ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანებს ენები აურია. ადამიანებმა ერთმანეთს ვეღარ გაუგეს, ატყდა ერთი შეხლა-შემოხლა, ჩხუბი და დავიდარაბა, გოდოლის მშენებლობა შეწყდა.

ახლა „ბაბილონის გოდოლს“ ვუწოდებთ რაიმე დიდ მშენებლობას ან ურთიერთშეუთანხმებლობის საფუძველზე რაიმე დიდი საქმის გაფუჭებას: დიდ არეულობას, უწესრიგობას...

ბალთაზარის ნადიმი

ქალდეას, მეფემ — ნაბუქოდონოსორის ვაჟმა — ბალთაზარმა ათასკაციანი ნადიმი გამართა და სტუმრებთან ერთად ღვინოს შეექცეოდა. მან იერუსალიმის ტაძრის კუთვნილი ოქროსა და ვერცხლის სასმისები გამოატანინა. იმით დაიწყეს სმა და თანაც არა შემოქმედ ღმერთს, არამედ ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის და სხვა კერპებს ადიდებდნენ. ამ ყოფაში რომ იყვნენ, ვიღაც უხილავმა კედელზე რაღაც დაწერა. შეშინებულმა ბალთაზარმა მრჩევლებს მიმართა, მაგრამ წარწერა ვერავინ გაშიფრა. ბოლოს იგი წაიკითხა ნაბუქოდონოსორის მოყვანილმა ერთ-ერთმა ტყვემ. წარწერის მიხედვით ბალთაზარს მამის უპატივცემულობასა და შემოქმედი ღმერთის უარყოფაში ედებოდა ბრალი. წარწერა აგრეთვე მისი სამეფოსა და მეფობის დასასრულზეც იუწყებოდა. მართლაც, იმავე ღამეს ბალთაზარი მოკლეს და მის სამეფოს მიდიელი დარიოსი დაეუფლა.

ეს ამბიდან გამომდინარე, გადატანითი მნიშვნელობით, „ბალთაზარის ნადიმი“ ნიშნავს თავაშვებულ, ულგუნურ, ტრადიციების შეურაცხმყოფელ ღრეობას და დროსტარებას რაიმე დიდი უბედურების ზოლოდინში.

ბარბაროსი

ძველ ბერძნებს ყველა არაბერძენი ველურ, განუვითარებელ ადამიანად მიაჩნდათ და ბარბაროსებს ეძახდნენ. ბარბაროსს ახლა ვუწოდებთ სწორედ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაადამიანური, ველური კანონებით მოქმედებენ, არ ემორჩილებიან ზოგადსაკაცობრიო ეთიკას. აქედანაა აგრეთვე სიტყვა „ბარბარიზმი“ უცხოს, არაეროვნულის მნიშვნელობით.

ბართლომეს ღამე

1572 წლის 24 აგვისტოს, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს, პარიზში, საფრანგეთის მეფის შარლ IX-ის დედის — ეკატერინე მედიჩისა და კათოლიკე ჰერცოგების თაოსნობით მოხდა

ჰუგენოტების (ერთ-ერთი რელიგიური სექტაა) მასობრივი ჟლეტა. დაღუპა სამიათასზე მეტი. ხოცვა-ჟლეტა შემდგომ დღეებში გავრცელდა საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც.

გადატანითი მნიშვნელობით „ბართლომეს ღამე“ ნიშნავს დიდ ხოცვა-ჟლეტას, ვერაგ თავდამსხმელთა ძალადობას, უიარაღო და უდანაშაულო მოსახლეობის სისხლისღვრას.

ბახუსი

ეს სიტყვა მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ძველბერძნული ღვთაების — დიონისეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელია. ზოგადი, გადატანილი მნიშვნელობით ბახუსს ვუწოდებთ ყოველგვარ ალკოჰოლიან სასმელს. აქედან გამომდინარე, „ბახუსის მონა“ ჰქვია ლოთს, „ნაბახუსევი — ნამთვრალევს ან მთვრალს, „ბახუსის ველს“ ხუმრობით უწოდებენ მაგიდას, სადაც დიდი რაოდენობით ისმევა ღვინო, ან სხვა რაიმე მაგარი სასმელი.

ბეწვის ხიდი

ძველების წარმოდგენით ადამიანის სიკვდილის მერე მისი სული არ კვდება და სხვა ქვეყანაში გადაინაცვლებს. სააქაოდან საიქიოში გადასვლისას ადამიანის სული თითქოს სიბნელითა და მრავალი საშინელებით სავსე უფსკრულის თავზე გადებულ ბეწვის ხიდზე გაივლის. თუ ადამიანი ამქვეყნად წმინდად და პატიოსნად იქცეოდა, თუ სიკეთეს აკეთებდა და არ ცოდავდა, მისი სული თავისუფლად გაივლის ბეწვის ხიდზე, რადგან მას ჩადენილ ცოდვათა წონა არ დაამძიმეს და მადლი, რომელსაც სიცოცხლეში იქმოდა, მხრებში ამოუდგება და, თუ რამ ცოდვით იყო დამძიმებული, გაუბათილებს. ვინც შეძლებს ამ ხიდზე გავლას, მარადსანეტარო სამოთხეში მოხვდება, ხოლო ცოდვათაგან დამძიმებულს ფეხქვეშ ჩაუწყდება და ჯოჯოხეთში, მარადიულ სატანჯველში ჩავარდება.

ამ წარმოდგენიდან გამომდინარე, შეიქმნა მხატვრული გამოთქმა „ბეწვის ხიდი“ ან „ბეწვის ხიდზე გავლა“, რაც ნიშნავს მეტად ძნელ ჩიზნამდე ან ადგილამდე მიღწევას, სადამდე მისვლაც დიდ სიფრთხილეს და გამბედაობას მოითხოვს.

გალაქტიკა

„გალაქტოს“ რძეს ჰქვია ბერძნულად, „გალაქტიკოს“ კი „რძიანს“ ნიშნავს. საქმე იმაშია, რომ ცის სივრცე, რომელსაც გალაქტიკას ვუწოდებთ, თითქოს მართლაც რძისფერია. ალბათ, ცის ასეთმა აღქმამ შექმნა ბერძნული მითი იმის შესახებ, რომ ეს ჰერას რძით მორწყული თუ განბანილი სივრცეა. ზოგი მითის მიხედვით ეს არის . გზა ოლიმპოდან დედამიწისაკენ.

განხეთქილების ვაშლი

ძველბერძნულ მითოლოგიაში კარგადაა ცნობილი განხეთქილების ღმერთქალი ერიდა. მას არცერთ თავყრილობაზე არ პატიჟებდნენ ღმერთები, რადგან ეშინოდათ, მათ შორის რაიმე შფოთი არ ჩამოვგდო. არც თეტიდასა და პელევსის ქორწილში დაპატიჟეს იგი. განაწყენებულმა ერიდამ აიღო ოქროს ვაშლი, ზედ წააწერა „ულამაზესს“, საქორწინო დარბაზში ფარულად შევიდა და მოცეკვავე ქალღმერთების ფეხებთან დააგდო. ქალღმერთებმა რომ ვაშლი აიღეს და წარწერა წაიკითხეს, ცხადია, ყველამ მოისურვა მისი დაპატრონება. საბოლოო არჩევანის უფლება სამმა ქალღმერთმა: ჰერამ, ათენამ და აფროდიტემ დაიტოვა. ამ ლხინის დროსაც ქალღმერთების დავამ დიდი შფოთი გამოიწვია. ზევსის ბრძანებით და სხვა ღმერთების თანხმობით, სადავო საკითხი ტროის მეფისწულს — პარისს უნდა გადაეწყვიტა.

პარისმა უპირატესობა აფროდიტეს მიანიჭა იმის გამო, რომ იგი შეპირდა, ევეუნად ულამაზეს ქალს შეგრთავ ცოლადო. მართლაც ისე მოხდა, რომ აფროდიტეს შემწეობით პარისმა მენელაოსის ცოლი — უმშვენიერესი ელენე მოიტაცა და ეს უკანასკნელი კი ფველი სამყაროს უდიდესი განხეთქილების — ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. აქედან გამომდინარე, „განხეთქილების ვაშლს“ რაიმე დავის, ჩხუბის, ომის მიზეზს ვუწოდებთ.

გარდაიცვალა დიდი პანი

ბლუტარქეს გადმოცემით, ტიბერიუსის მეფობის დროს პელოპონესიდან იტალიაში გემი მიემგზავრებოდა. როდესაც გემი კუნძულ ნაქსოსს მიუახლოვდა, მესაჭეს შემოესმა ხმა: „გარდაიცვალა დიდი პანი“. როდესაც ტიბერიუსმა ამის შესახებ გაიგო, მეცნიერები მოიწვია და მათ აუხსნეს, რომ პანი, რადგან იგი ღმერთისა და მოკვდავი ქალის შვილი იყო, ღმერთებივით უკვდავებას ვერ შეინარჩუნებდა. ქრისტიანი ავტორები „პანის გარდაცვალებას“ კერპთაყვანისმცემლობის დამხობის სიმბოლოდ მიიჩნევენ, რადგან ქრისტეს დაბადებისა და გარდაცვალების ხანა ტიბერიუსის მეფობის პერიოდს ეთხვევაო.

ახლა ეს გამოთქმა გამოიყენება დიდი ეპოქის დასრულების აღსანიშნავად. ასე ვამბობთ მაშინაც, როცა ვინმე დიდი პიროვნება გარდაიცვლება. შეიძლება გამოთქმა ირონიული მნიშვნელობითაც ვიხმარეთ.

გედის სიმღერა

არსებობს. რწმენა, თითქოს გედები სიკვდილის წინ მღერიან. ყოველ შემთხვევაში გამოთქმა „გედის სიმღერა“ ნიშნავს პიროვნებისაგან ამა თუ იმ სფეროში გამომჟღავნებულ ბოლო ნიჭს, ბოლო საქმიანობას.

ცნობილი ზოოლოგი ბრემი ნატურალისტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დაჭრილი გედი როცა კვდება, მართლაც გამოსცემს სასიამოვნო ხმებს, თითქოს ვერცხლის ზარის ნელი მელოდიაა. ასე რომ, ამ გამოთქმას რეალური საფუძველიც ჰქონია.

გიგანტი

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით გიგანტები არიან საყოველთაოდ ცნობილი ბუმბერაზები, გეასა და ურანოსის ვაჟიშვილები, რომლებმაც ოლიმპიელი ღმერთების წინააღმდეგ გაილაშქრეს. მას შემდეგ, რაც ოლიმპიელებმა დამხმარედ მოიხმეს კიკლოპები, ჰეკატონხეირები (ასხელოვანი ბუმბერაზები) და ჰერაკლე, გიგანტები დამარცხდნენ. თანამედროვე გაგებით „გიგანტი“ ნიშნავს დიდ ბუმბერაზ პიროვნებას, საქმეს, საგანს და სხვა.

გოგი და მაგოგი

გოგი არის ბიბლიური ქვეყნის — მაგოგის მრისხანე მეფე. მათზე საუბარია „ბიბლიაში“ (ეზეკიელი, 38 39. აპოკალიფსი 20,7). ეზეკიელის მიხედვით გოგი და მაგოგის ხალხი შორეულ მომავალში ჩრდილოეთიდან მოვლენ და ისრაელს გაანადგურებენ. აპოკალიფსის მიხედვით მათი შემოსევა მოსალოდნელია „განკითხვის დღის“ წინ. გადატანითი მნიშვნელობით „გოგი და მაგოგი“ ნიშნავს რაიმე საშინელს, მრისხანეს, რაც ადამიანებს შემაძრწუნებელ შიშს ჰგვრის.

გოლგოთა

„სახარების“ მიხედვით გოლგოთაზე (მთა იერუსალიმის მახლობლად) ჯვარს აცვეს ქრისტე. ამავე მთაზე დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ ხოლმე. ამ უკანასკნელ ამბავთან უნდა იყოს კავშირში ამ მთის სახელწოდებაც. არაბულად „გულგუეთა“ „თავის ქალას“ ნიშნავს.

გადატანითი მნიშვნელობით „გოლგოთა“ ნიშნავს დიდი წამების ადგილს, ტანჯვას... მართალი და კეთილი ადამიანის სულიერ და ფიზიკურ წამებას. „გოლგოთის გზა“ — მისწრაფება რაიმე დიადისაკენ, რომელთანაც მისვლა დიდ შრომას, გარჯა-წვალებას მოითხოვს.

გოლიათი

„ბიბლიის“ მიხედვით (I მეფეთა 17) გოლიათი ფილისტიმელთა გმირი იყო — სიმაღლით ექვსი წყრთა და ერთი მტკაველი. როდესაც ფი-

ლისტიმელები და იზრაელები ერთიმეორეს შეებრძოლნენ, გოლიათმა ყველას გასაგონად განაცხადა: გამოიყვანეთ თქვენი გმირი, თუ იგი დამამარცხებს, ჩემი ხალხი გეყმობათ, ხოლო თუ მე დავძლევ, ჩემი დაგვემონოთო. იზრაელები შეშინდნენ და დიდხანს ვერავინ ვაბედა გოლიათთან შერკინება. მოგვიანებით დავითი მოვიდა, უსაჭურვლოდ შეებრძოლა მას, ღმერთ საბაოთის ნებით გაძლიერებულმა შურდულით ქვა ესროლა გოლიათს და ასე მოკლა.

ახლა, როგორც ვიცით, გოლიათი დიდი აღნაგობის, ძლიერი ადამიანის აღსანიშნავი საზოგადო სახელია.

გორდიასის კვანძი

ერთი ფრიგიული ლეგენდის თანახმად, იყო ვინმე უბრალო მიწათმოქმედი გორდიასი. ერთხელ, როდესაც იგი მინდვრად შრომობდა, მისი ხარების უღელზე არწივი ჩამოჯდა. ეს ამბავი წინასწარმეტყველებმა ასე ახსნეს, რომ გორდიასი ოდესმე მეფე გახდებოდა. მარილაც, ფრიგიელებმა მეფე მალე გადააყენეს და სურდათ მიეპატიჟებინათ, ვინ გაემეფებინათ. სამისნომ განაცხადა, რომ მეფედ უნდა აერჩიათ ის, ვისაც პირველად შეხვდებოდნენ ურემზე მჯდომარეს, ასეთი კი სწორედ გორდიასი გამოდგა. მეფედ არჩეულმა გორდიასმა ტაძარი ააგებინა, თავისი ურემი შიგ დააყენებინა და მარხილები ერთულესი კვანძებით მიაბა უღელზე, რადგან უმისნეს, რომ მისი სახელმწიფო მანამ იარსებებდა, სანამ ამ კვანძებს არ გახსნიდნენ. გადიოდა დრო და კვანძებს ვერავინ ხსნიდა.

ამბობენ, რომ ეს ურემი ალექსანდრე მაკედონელის დროსაც არსებობდა და კვანძიც გაუხსნელი იყო. ალექსანდრეს უცდია მისი გახსნა, მაგრამ რომ ვერ მოუხერხებია, გაჯავრებულა და ხმლით გაეჩეხია. აი, ამ ამბებთანაა დაკავშირებული გამოთქმები: „გორდიასის კვანძი“, „გორდიასის კვანძის გახსნა“, „გორდიასის კვანძის გაჩეხვა“. პირველი გამოხატავს ძნელად ამოსაცნობ ამოცანას, ძნელად გადასაწყვეტ საქმეს: მეორე — ძნელი სიტუაციიდან გამოსვლას, რაღაც ძნელად გადასაწყვეტი საქმის ერთბაშად გადაწყვეტას, მესამე კი — რაიმე ძნელად გადასაჭრელი საქმის ძალმომრეობით, უხეშად გადაჭრას.

დავით დროიძე

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის („სიმონა“) მიხედვით დროის წყალობით გამდიდრებული გლეხი, რომელიც ახალ მტანჯველად მოვლენია თავისსავე სოფელს და მეზობლებს. გადატანითი მნიშვნელობით სწორედ ასე, დროების წყალობით გამდიდრებულ. ულირს და ქონებით გათამამებულ კაცს ეწოდება.

დათვური სამსახური

დათვი შედარებით მოუქნელი ცხოველია და არც დიდი გონიერებით გამოირჩევა. ესაა იმის მიზეზი, რომ კრილოვმა იგავ-არაკი „მეუდაბნოე და დათვი“ შექმნა. იგავის მიხედვით დათვი თითქოს ეხმარება იგირს, მაგრამ დახმარების მაგიერ ზიანს აყენებს...

გამოთქმა, როგორც ვიცით, ნიშნავს ისეთ უაზრო დახმარებას, რომელიც ადამიანისათვის ზიანი უფრო მოაქვს.

დამოკლეს მახვილი

ეამოთქმას ისტორიული ფაქტი უძევს საფუძვლად. ამბობენ, რომ სირაკუზის მეფეს, ტირანიითა და სიმკაცრით განთქმულ დიონისიოს პირველს, რომელიც ჩვენს ერამდე 432—367 წლებში ცხოვრობდა, ჰყავდა მეგობარი და თანამებრძოლი დამოკლე, რომელიც მეფეს მოკეთეთა შორის უბედნიერეს კაცად მიიჩნევდა. მეფემ იცოდა, რომ მისი მდგომარეობა ბედნიერება კი არა, მარადიული შიში იყო და, დამოკლე რომ ამაში დაერწმუნებინა, ერთი დღით გადასცა სამეფო ხელისუფლება. უზომოდ ბედნიერმა დამოკლემ ნადიმი გამართა და ილხენდა, მაგრამ უცებ მაღლა აიხედა და ცხენის ძუის ერთი ბეწვით ჩამოკიდებული გაშიშვლებული მახვილი დაინახა— თურმე იგი წინასწარ დიონისიოსს ჩამოეკიდებინა დამოკლესათვის იმის საუწყებლად, რომ მეფის ბედნიერ ცხოვრებას მარად ემუქრება უდიდესი საშიშროება. დამოკლე დარწმუნდა, რომ მეფობა და თუნდაც განუსაზღვრელი ძალაუფლება არ არის უდიდესი ბედნიერება...

აქედან გამომდინარე, გამოთქმა „დამოკლეს მახვილი“ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და დიდ, მაგრამ მოჩვენებით ბედნიერებას ამოფარებულ დიდ საშიშროებას ნიშნავს.

დანაელთა საჩუქარი

ბერძნებს ზოგჯერ დანაელებსაც უწოდებენ, განსაკუთრებით ეს ეხება ჰომეროსის „ილიადაში“. როდესაც ბერძნებმა ვერა და ვერ შეძლეს ტროის კედლებს შიგნით შესვლა, ოდისევსის რჩევით ააგეს ხის უზარმაზარი ცხენი, შიგ ფარულად მრავალი მამაცი მეომარი ჩასვეს. თავიანთი კარვები დაწვეს, გემები სანაპიროდან ზღვაში შეაცურეს, თითქოს წავიდნენ და ხის ცხენი ტროის კარიბჭესთან დატოვეს. დილით რომ ტროელებმა ყოველივე ეს ნახეს, გაეხარდათ, იფიქრეს, ბერძნები ჩამოგვეხსნენო. საოცარი სიდიდის ცხენი ღვთაებრივ საჩუქრად ჩათვალეს და ქალაქის კედლებს შიგნით შეაგორეს, თუმცა წინასწარმეტყველმა ლაოკოონმა განაცხადა, მეშინია მე დანაელთა საჩუქრისაო. ღამით ხის ცხენიდან მალულად გადმოვიდ-

ნ ბერძნები და ამდენი გასაჭირის გადამტანი ქალაქი ერთიანად აოხრეს. ამის შემდეგ „დანაელთა საჩუქარს“ უწოდებენ მტრისაგან წემოთავაზებულ წინადადებას, რომელიც მოპირისპირეს კარგ რაიმედ მიაჩნია, სინამდვილეში კი ეს დასაღუპადაა გამიზნული.

დანაიდების კასრი

დანაოსი ეგვიპტის მეფის — ბელოსის ვაჟი იყო. მის ძმას — ეგვიპტოსს ორმოცდაათი ვაჟი შეეძინა, დანაოსს კი — ორმოცდაათი ქალიშვილი, რომლებიც ბერძნულ მითოლოგიაში დანაიდებად ანუ დანაოსის ასულებად არიან ცნობილნი.

ეგვიპტოსის ვაჟებმა დანაიდებთან ქორწინება მოისურვეს, მაგრამ დანაოსი ამ ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყო და ქალიშვილებიანა ეგვიპტიდან გაიქცა. როდესაც დანაოსი არგოსის მეფე გახდა, ეგვიპტოსის ვაჟებმა მაინც მონახეს იგი და აიძულეს. დაეკმაყოფილებინა მათი სურვილი.

მამის შთაგონებით ქალიშვილებმა საქორწინო სარეცელზე დაბოცეს თავიანთი საქმროები (მხოლოდ ერთმა — ჰიპერმნესტრამ შეიბრალა თავისი წყვილი — ლინკევსი).

ამ ცოდვის ჩადენის გამო, გვაუწყებენ ბერძნული მითები, დანაიდები ასე დაისაჯენ სულების ქვეყანაში: მათ უძირო კასრების გავსება დაევალათ. აქედან გამომდინარე, „დანაიდების კასრს“ ვუწოდებთ ყოველივე იმას, რისი გავსებაც არ შეიძლება. „დანაიდების კასრში წყლის სხმას“ — უნაყოფო შრომას.

დაფნის გვირგვინი

„დაფნის გვირგვინს“ დღეისათვის ორნაირი გაგება აქვს: უპირველესად ეს არის მცენარე დაფნისაგან გაკეთებული ნამდვილი გვირგვინი, რომლითაც ხალხისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებულ ადამიანებს ამკობენ. აქედან წარმოიშვა „დაფნის გვირგვინის“ ზოგადი, გადატანითი მნიშვნელობა — ღირსეული ადამიანის ღირსეულად დაფასება. ძველ საბერძნეთში ოდითგანვე დაფნის გვირგვინით ამკობდნენ ღირსეულ და დამსახურებულ მოქალაქეებს, რისი მიზეზიც ის იყო, რომ დაფნა ხელოვნების თითქმის ყველა დარგის მფარველი ღმერთის — აპოლონის წმინდა მცენარედ ითვლებოდა.

ძველბერძნული მითები გვიამბობენ, რომ აპოლონს შეუყვარდა სიმშვენიერით სახელგანთქმული ფერია დაფნე და მის დაპატრონებას ცდილობდა, მაგრამ ფერია დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ერთხელ აპოლონმა დაიმარტოხელა დაფნე და გამოედევნა. აპოლონი რომ ფერიას წამოეწია და ხელთ უნდა ეგდო, დაფნემ თავი და ხელები ცისაკენ აღმართა და ღმერთს შესთხოვა, ეხსნა იგი ამ ვანსაც-

ელისაგან. ღმერთმა მისი თხოვნა შეისმინა და ასევე ხელებშეძარ-
თული, დაფნის ხედ აქცია. ამის შემდეგ დაფნა აპოლონის უსაყვა-
რელესი მცენარე გახდა.

დემოსთენე

სახელგანთქმული ბერძენი ორატორი, ათენის დემოკრატიისათ-
ვის თავდადებული მებრძოლი — დემოსთენე (384—322) დაბადებით
ბლე იყო. იგი შვიდი წლისა დაობლდა და მშობლებისაგან დანატოვარ
დიდ ქონებას ნათესავები ეცილებოდნენ. მაშინ ათენში ორატორობა
ფიდად ფასობდა და ყმაწვილმა მტკიცედ გადაწყვიტა, კარგად შეეს-
წავლა ეს ხელოვნება, რომ თავი თვითვე დაეცვა სასამართლო პრო-
ცესებზე, მაგრამ ენაბლუობა მეტისმეტად უშლიდა ხელს. მან რწმე-
ნა არ დაკარგა, ჩანჩქერებისა და ზღვის ხმაურში ვარჯიშობდა მეტ-
ყველებაში, ყრუ სარდაფებში ჩაკეტილი წარმოსთქვამდა ვრცელ სი-
ტყვებს, პირში კენჭებს იყრიდა და ისე ლაპარაკობდა. მალე დაძლია
მან ეს ფიზიკური ნაკლი და უდიდესი ორატორი გახდა.

დემოსთენე ახლა ეწოდება დიდ ორატორს. ან იმას, ვინც
დასახული მიზნის მიღწევისათვის თავგამოდებით იბრძვის, დიდი წი-
ნააღმდეგობების გადალახვის შემდეგ მიაღწევს დასახულ მიზანს.

დიანა

რომაული მითოლოგიის მიხედვით დიანა იყო მთვარის განსახიერე-
ბა და მისი ღვთაება. დიანა მამაკაცებს გაურბოდა და მარადიულ ქა-
ლწულობას ინარჩუნებდა. ერთადერთი, მშვენიერი ენდიმიონი შეუ-
ყვარდა მას და მისი სარეცელიც არ გაიზიარა. თანამედროვე გაგე-
ბით დიანას ეძახიან როგორც მთვარეს, ასევე კდემამოსილ, მორცხვ
ქალიშვილებს.

დიოგენეს ფარანი

ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეში სინოპში ცხოვრობდა სახელგანთ-
ქმული ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე, რომლის სახელთანაც
ერთვალი უცნაურობაა დაკავშირებული — იგი უარყოფდა ყოველი-
ვე ამქვეყნიურს, კერძოდ ყოველგვარ ცივილიზაციას და მოითხოვ-
და, რომ ადამიანები პირველყოფილ მდგომარეობას დაბრუნებოდ-
ნენ. იგი იყო უდიდესი კოსმოპოლიტი და თავს მსოფლიოს მოქა-
ლაქედ თვლიდა.

თურმე ერთხელ დიოგენე ათენის ქუჩებში დღისით ანთებული
ფარნით დადიოდა და როდესაც ჰკითხეს, რას აკეთებო, უპასუხია —
ადამიანს ვეძებო. იგი ისეთივე ადამიანს ეძებდა, როგორი შეხედუ-
ლებაც მას თავის თავზე ჰქონდა და, ცხადია, ასეთს ვერსად იპო-
ვიდა. აქედან ეომდინარეობს გამოთქმა „დიოგენეს ფარანი“ და „დი-
ოგენეს ფარნით რაიმეს ძებნა“.

დიოგენე ყოველგვარ ამქვეყნიურ წესს უარყოფდა და კასრში ცხოვრობდა, ამიტომაც აქედანვე მომდინარეობს გამოთქმა „დიოგენეს კასრი". ამბობენ, როცა კასრში მცხოვრებ დიოგენესთან ალექსანდრე მაკედონელი მისულა და უკითხავს, ხომ არაფერი გინდაო, მას უპასუხია: „ცოტა იქით გაიწიე, მზეზე ნუ მეფარებიო".

დონ კიხოტი

„დონ კიხოტს" ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც სინამდვილეს მოწყვეტილია, ფანტაზიით და ოცნებით ქმნის, ან ანადგურებს; მარცალია, სიკეთით სავსეა, მაგრამ უძლურია იმ საქმის გასაკეთებლად, რომლისთვისაც იბრძვის. დონ კიხოტი სერვანტესის ცნობილი გმირია, მას სანჩო პანსა „მწუხარე სახის რაინდს" უწოდებს.

დონ კიხოტი ქარის წისქვილს ბოროტ არსებად მიიჩნევს და თავგამოდებით ებრძვის მას, აქედანაა გამოთქმა „ქარის წისქვილთან ბრძოლა".

დონ ჟუანი

ძველი ესპანური ლეგენდის მიხედვით დონ ჟუანი იყო სახელგანთქმული აშიკი, მაცდური და ლამაზი ყმაწვილი. რომლის ცხოვრების მიზანს სასიყვარულო ფათერაკები და განცდები წარმოადგენდა. მსოფლიო ლიტერატურაში ეს სიუჟეტი ასზე მეტ ნაწარმოებშია გამოყენებული, განსაკუთრებით ცნობილია მოლიერის „დონ ჟუანი" (1665). „დონ ჟუანს" ახლა სწორედ ასეთივე ხასიათის, ქალებისა და სასიყვარულო ინტრიგების მოყვარულ მამაკაცს ვუწოდებთ.

დრაკონის კბილები

თებეს ციკლის თქმულებების სახელგანთქმულმა გმირმა — კადმოსმა თავისი მსახურების დახოცვისათვის მოკლა ომის ღვთაების — არესის ვაჟი — დრაკონი. ამით განაწყენებულმა ქალღმერთმა ათენამ კადმოსს უბრძანა, მიწა მოეხნა, დრაკონისათვის (დიდ გველს ეწოდება ბერძნულად) კბილები დაეძრო და დაეთესა. კადმოსი ასეც მოიქცა, მაგრამ უცებ მიწიდან შეიარაღებული მეომრები ამოიმართენ და, ისევ ათენას შემწეობა რომ არა, კადმოსს იქვე მოკლავდნენ. ათენას რჩევით კადმოსმა ქვა გადააგდო მათ შორის, მეომრები ერთიმეორეს დაერივნენ და ხუთს, გარდა ყველანი დაიხოცნენ.

ამბობენ, რომ დრაკონის კბილების ნახევარი ათენამ აიეტს გადასცა და მან იასონს მისცა დასათესად. იქიდანაც აღმოცენდნენ საშინელი მეომრები და იასონმა მხოლოდ მედეას შემწეობით დაიხსნა მათგან თავი. ამ მითიდან გამომდინარე, „დრაკონის კბილების დათესვას" ალეგორიული მნიშვნელობით მეომრების გამოზრდას, ომისათვის მზადებას ეუწოდებთ, დრაკონს კი — რაიმე საშინელ ძალას.

დუმილი თანხმობის ნიშანია

ეამოთქმა სოფოკლედან მომდინარეობს. ტრაგედიაში „ტრაქინელი ქალები“ არის ასეთი წინადადება: „ნუთუ ვერ გრძნობ, რომ დუმილით ბრალმდებელს ეთანხმები?“.

დღევანდელი ფორმით ეს გამოთქმა პირველად, ჩანს, რომის პაპს — ბონიფაც მერვეს გამოუყენებია (1294—1303).

ეგ არის და გორის ციხე

გამოთქმა წმინდა ქართულია, ვამბობთ მაშინ, როცა საკმაოდ ძნელ და მომქანცველ საქმეს დავასრულებთ, რომლის დასრულებითაც მეტად კმაყოფილი ვართ. ჩანს, რომ გამოთქმა ისტორიულ გორის ციხესთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ გორის ციხე მრავალგზის დააქცია გარეულმა თუ შინაურმა მტერმა, მაგრამ ქართველობამ კვლავ აღადგინა. მომქანცველი, მაგრამ მეტად საჭირო შრომის დამთავრების შემდეგ ალბათ, სიამოვნებით წამოიძახებდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები: ეგ არის და... გორის ციხე ისევ აშენებულია! მტერო, ახლა ვერაფერს დაგვაკლებო.

ეგიდა

ეანამედროვე გაგებით მფარველობის, მფარველის, თავდასაცავი საშუალების მნიშვნელობით იხმარება.

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით, როცა ზევსი ტიტანებს ებრძოდა, ფარზე თავისი ძიძის — თხა ამალთეას ტყავი გადააკვრევინა და ზედ გორგონას თავი გამოაკვეთინა. ამით მან მოძალადეთა თავდასხმები აიცილა. ამ ფარს ეგიდა ერქვა (თხის ტყავს ნიშნავს ბერძნულად). იგი ზევსის, ათენას, აპოლონის ატრიბუტია.

ჰომეროსის მიხედვით ეგიდა ზევსის ის ფარია, რომელიც მას ჰეფესტომ დაუმზადა.

ედემის ბაღი

„ბიბლიის“ მიხედვით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული საიქიოში მიდის საიქიო ორი ნაწილისაგან — ჯოჯოხეთისა და სამოთხისაგან შედგება. ჯოჯოხეთში ავისმქმნელნი და ურწმუნონი ხვდებიან, სამოთხეში კი —კეთილისმოქმედნი და მორწმუნენი. სამოთხე მარადიული სანეტარო ადგილია, ედემის ბაღი კი — მისი საუკეთესო კუთხე. ამიტომაც ედემის ბაღს ულამაზეს, სიმშვენიერითა და სიმდიდრით განთქმულ ადგილს ვუწოდებთ.

ევა

სახელი ებრაულია და „სიცოცხლეს“, „სიცოცხლის საწყისს“ ნიშნავს. „ბიბლიის“ მიხედვით იგი ადამის ნეკნისაგან შექმნა ღმერთმა, ადამის ცოლად და შემდგომდროინდელი ადამიანების დედად

დაწესა. თქმულების მიხედვით ედემის ბაღში, სადაც ღმერთმა ადამი და ევა დაამკვიდრა, მრავალთა შორის ხარობდა ე. წ. კეთილისა და ბოროტების შემეცნების ხე, რომლის ნაყოფის გასინჯვაც მათ შემოქმედმა ღმერთმა აუკრძალა. ევას ქალურმა ცნობისმოყვარეობამ წაძლია, ეს ხილი მაინც იგემა და შემდეგ ადამიც აცდუნა. ამისათვის მათ ღვთის რისხვა დაიმსახურეს. ახლა ევას ვუწოდებთ მეტად ცნობისმოყვარე და მაცდურ ქალს.

ევრიკა!

სახელგანთქმული ბერძენი სწავლული — არქიმედე (287—212) ჰიდროსტატიკის კანონზომიერების დადგენაზე დიდხანს მუშაობდა. ერთხელ, აბაზანაში ყოფნისას, მან უეცრად გაიაზრა, რომ „სითხეში ჩაძირულ სხეულზე მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც ჩაძირული სხეულისაგან გამოდევნილი სითხის წონის ტოლია". აღმოჩენით გახარებულმა სწავლულმა უცებ წამოიძახა: „ევრიკა!" — —„აღმოვაჩინე!" და აბაზანიდან შიშველი გამოვარდა. ახლა ასე წამოვიძახებთ ხოლმე ჩვენც, როცა რაიმე გაუგებარს გავიგებთ, შეუმეცნებელს შევიმეცნებთ, შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავალ სწორ გზას გამოვნახავთ.

ეზოპეს ენა

ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში საბერძნეთში ცხოვრობდა სახელგანთქმული იგავთმწერალი — ეზოპე. იგი მონა იყო, და როგორც დაბეჩავებული კლასის წარმომადგენელს, არ შეეძლო თავისუფლად პირდაპირ ეთქვა სათქმელი. ამიტომ მან იგავ-არაკულ ჟანრს მიმართა. ამიტომაც ალეგორიულად, შენიღბულად ნათქვამს ახლა ეზოპეს ენას ვუწოდებთ.

ელდორადო

გამოთქმა „ოქროვანს" ნიშნავს ესპანურად. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ევროპაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკაში არის ზღაპრული მხარე, სადაც უხვადაა ოქრო და სხვა განძი. ამას ბევრი რეალური ექსპედიცია მოჰყვა სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა რეგიონში. ახლა „ელდორადო" ბედნიერებით აღსავსე საოცნებო მხარეს ნიშნავს.

ელისეს მინდვრები

ელისეს ანუ ელისიის მინდვრები, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ულამაზესი მხარეა საიქიოში, სადაც საუკუნოდ ცხოვრობენ ცხონებულ ადამიანთა სულები. აქ არც ზამთრის სიცივე აწუხებს ვინმეს და არც ზაფხულის სიცხე. ელისიის მინდვრები შეიძლება გავაიგივოთ ქრისტიანულ სამოთხესთან. ნიშნავს ლამაზ, მდიდარ მხარეს.

ეპიგონები

ეპიგონი ბერძნული სიტყვაა და ქართულად „შემდგომშობილს“ ნიშნავს. თებესთან შვიდი მხედარმთავრის დაღუპვის ათი წლის შემდეგ არგოსელმა გმირებმა თავიანთი მამების სისხლის აღება გადაწყვიტეს. ბერძნულ მითოლოგიაში ისინი „ეპიგონებად“ იწოდებიან. მათ გმირი ადრასტოსი მეთაურობდა და ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა. ამის გამო, ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული, „ეპიგონი“ ზოგადი სახელი გახდა და ყოველი მხედარმთავრის შვილსა და შთამომავალს ეწოდებოდა. გადატანითი მნიშვნელობით კი ეპიგონი ჰქვია რაიმე საქმის უხეირო მიმდევარს, რომელიც ცდილობს, ორიგინალური იყოს, მაგრამ თავისი წინამორბედის გაკლენას ვერ გაურბის.

ექიდნა

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით ექიდნა ჰადესში მცხოვრები. ნახევრად გველისა და ნახევრად ქალის ტანის ბოროტი ურჩხული იყო. გადატანითი მნიშვნელობით ბოროტ, ცბიერ ადამიანს ნიშნავს.

ექო

ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად ექო მშვენიერი ფერია იყო. ყველაზე გავრცელებული მითის მიხედვით ექოს ნარცისი შეუყვარდა, მან კი მისი ეს სიყვარული არ გაიზიარა. ექომ ბევრი იდარდა, მეტისმეტად გაილია და ბოლოს მისაგან მარტო ხმა დარჩა. სხვა მითების მიხედვით ჰერამ ზევსზე ეჭვიანობის გამო ეს მშვენიერი ფერია დაამუნჯა და ამის შემდეგ მას მხოლოდ გაგონილი სიტყვების ბოლო ბგერების გამეორება შეეძლო.

ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ

გამოთქმა დეკარტს ეკუთვნის (1596—1650). ამ გამოთქმას უფრო ხშირად ლათინურად ამბობენ: „კოგიტო, ერგო სუმ“.

ვალაამის ვირი

„ბიბლიის“ ერთი მითის მიხედვით (რიცხვთა, 22) ვალაამს ღმერთის საწინააღმდეგო რაღაც საქმე უნდა გაეკეთებინა. შეჯდა თავის ვირზე და წავიდა. ერთ ადგილას ვირს წინ ანგელოზი გადაუდგა. ცხოველი გზიდან გადავიდა, რისთვისაც ვალაამმა ვირს სცემა. ვირს სამგზის გადაუდგა ანგელოსი წინ და არა და არ გაუშვა, ვალაამი კი მეტი და მეტი განრისხებით სცემდა. გამწარებული ვირი ბოლოს დაწვა, მაგრამ ვალაამმა კიდევ უფრო გამეტებით სცემა. ღვთისნებით ვირმა ენა ამოიდგა და პატრონს უსაყვედურა: რატომ მცემ, აქამდე ხომ ერთგულად გემსახურებოდიო. გაშმაგებულმა პატრონმა

მიუგო: გცემ კი არა, ხანჯალი რომ მქონდეს, აქვე მოგკლავდიო. მაშინ ღმერთმა ვალაამმსაც დაანახა ანგელოსი, რომელმაც ვალაამს უთხრა: ვირს რატომ სცემ, მე ვუდგებოდი წინ და არ ვუშვებდი; ამ გზაზე რომ გამოგევლოთ, მას არ მოვკლავდი, შენ კი ვერ გადამირჩებოდიო.

აქედან გამომდინარე, „ვალაამის ვირი“ ჰქვია კეთილ და გონიერ მრჩეველს, მორჩილ და ერთგულ ხელქვეითს, რომელიც ყველანაირად ცდილობს, რომ მისმა უფროსმა რაიმე ცუდი არ გააკეთოს, მაგრამ პატრონი ამას ვერ ხედავს და მაინც უმადურია.

ვენერა

ვენერა სილამაზისა და სიყვარულის მფარველი ღვთაებაა ძველ ბერძენ-ლომში. იგი ბერძნული აფროდიტეს რომაული ანალოგიაა. მის სახელს ვარსკვლავი ვენერა, ალბათ, იმიტომ ატარებს, რომ დედამიწიდან ხილულ ვარსკვლავთა შორის იგი ულამაზესია. გადატანითი მნიშვნელობით, პოეტურ მეტყველებაში, ახალგაზრდა, ლამაზ ქალს ეამოხატავს.

ზევსი

ძველბერძნულ მითოლოგიასა და რელიგიაში ზევსი უზენაეს ღვთაებათა მესამე თაობაა ურანოსისა და კრონოსის შემდეგ. ღმერთთა და კაცთა მამად წოდებული ზევსი ყოვლისშემძლედაა მიჩნეული და ამიტომაც არის მშვიდი და აუღელვებელი. ყოვლისშემძლე და ზეიად მამაკაცს ზოგჯერ ჩვენც ზევსს ვუწოდებთ. სხვა მრავალთან ერთად ზევსი ჭექა-ქუხილისა და მეხჯატეხის განმგებელიცაა. ახლა ეს სახელი შეიძლება მრისხანე, მაგრამ სამართლიან მბრძანებელს, ასევე საქმეში ზეაღმატებულ პიროვნებას ვუწოდოთ.

ზეთისხილის შტო

„ბიბლიის“ მიხედვით მსოფლიო წარღვნის დროს ნოეს მიერ კიდობნიდან გაშვებულმა მტრედმა, იმის ნიშნად, რომ წყალმა დაიწია და ხმელეთი გამოჩნდა, შვიდი დღის შემდეგ მას ზეთისხილის შტო მოუტანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წარღვნა დამთავრდა და ქვეყანა დამშვიდდა. ამიტომაა, რომ ზეთისხილის შტო ახლა სიმშვიდისა და მშვიდობის სიმბოლოა. ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში იგი მშვიდობის ქალღმერთის — ეირენეს მარადიული ატრიბუტია.

ზოდიაკი

„ცხოველთა წრეს“ ნიშნავს ბერძნულად და ასე იმიტომ ეწოდება, რომ თორმეტ თანავარსკვლავედს, რომელთაც დედამიწიდან ხილულ ორბიტაზე მზე გაივლის წელიწადში, ბერძნული მითოლოგიიდან გამომდინარე, ცხოველთა სახელები ერქვა. მაგალითად: ვერძი, კურო, ღრიანკალი, ლომი, კიბო, თევზი და სხვა.

თავსლაფდასხმული

ასე იტყვიან ადამიანზე, რომელიც საბარცხვინო საქმეს ჩაიდენს, რაიმეს დააშავებს. ახლა ამას აღარ აქვს იმდენად შემარცხვენელი ბნიშვნელობა, რამდენიც ძველ საქართველოში ჰქონდა. ძველად იმას, ვინც იქურდებდა, იმრუშებდა, ან სხვა ისეთ დანაშაულს ჩაიდენდა, რისთვისაც სიკვდილს არ იმსახურებდა, მთელი სოფელი ან უბანი დაესეოდა და თავზე ლაფს ასხამდა. ეს თავისთავად დამამცირებელი აქტი იყო, მაგრამ ამის შემდეგ დამნაშავეს „თავსლაფდასხმული“ ეწოდებოდა და მას არც სტუმრად მიიღებდა ვინმე, არც მეზობლობას და ამხანაგობას გაუწევდა, ერთი სიტყვით, მასთან ურთიერთობას ყველა ერიდებოდა. თავსლაფდანასხამ პიროვნებას ბევრი დრო და კეთილმოქმედება სჭირდებოდა იმისათვის, რომ ეს სამარცხვინო წოდება მოეხსნა. მაგრამ არ იყო გამორიცხული, რომ გამოჯავრების მიზნით შემდეგაც „თავსლაფდასხმულს“ დაუძახებდნენ. აქედან მომდინარეობს დღეისათვის არც თუ ისე მკაცრად გაგებული წყევლა: „დაგესხა თავსლაფი!“.

თეთრი ყვავი

გამოთქმა პირველად გამოიყენა რომაელმა პოეტმა — სატირიკოსმა იუვენალმა (I—II ს) თავის VII სატირაში. იხმარება იშვიათი, საზოგადოებრივი ყოფიერების საწინააღმდეგო ხასიათისა და შეხედულებების ადამიანის აღსანიშნავად.

თემიდა, თემიდას მსახური

სამართლიანობის ქალღმერთად ძველბერძნულ მითოლოგიაში დიკე ითვლებოდა, მაგრამ მის გვერდით მარად დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა მართლმსაჯულებისა და წინასწარმეტყველების მფარველი ქალღმერთი თემიდა. მისი კულტი აღმოსავლური წარმომავლობისაა. იგი განსაკუთრებით მოუსყიდავი და ობიექტური მსჯავრმდებლების მფარველად ითვლებოდა. ამიტომ, ეადატანითი მნიშვნელობით, თემიდა მართლმსაჯულებას ნიშნავს, ხოლო მოსამართლეებსა და საერთოდ იურისტებს „თემიდას მსახურებს“ ეძახიან. ხელოვნებაში თემიდა თვალახვეულ ქალად გამოისახებოდა, რომელსაც ხელში სიუხვის რქა და სასწორი ეჭირა. თვალახვეულად იმიტომ გამოისახებოდა, რომ ვერ დაენახა, ვის ასამართლებდა და ყველას მიმართ ერთნაირი ყოფილიყო, სიუხვის რქით კი იმიტომ, რომ მართლმსაჯულება ადამიანებისათვის გარკვეულწილად სიმდიდრის გარანტიაცაა. სასწორით კი, როგორც ქართულად ვიტყვით, დამნაშავეთა ცოდვა-ბრალი იწონებოდა.

თიმსალ მაკო

„ბაში-აჩუკის“ ერთ-ერთი უარყოფითი მოქმედი პირი, მოღალატე და ცბიერი დედაბერი, რომელმაც ოქროს ფასად გასცა ბაში-აჩუკის ადგილ-სამყოფელი. „თიმსალ მაკოს“ ახლა ხალხი ასეთივე თვისებების მქონე ქალებს ზიზღით ეძახის.

იკაროსი

ლეგენდარული ბერძენი გამომგონებლისა და ხელოსნის — დედალოსის ვაჟი იკაროსი სანთლით მიწებებული ფრთებით მამასთან ერთად ცაში აფრინდა, მზის სითბომ სანთელი დაადნო, ფრთები დაცვივდა, ყმაწვილი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო. მისი სახელის მიხედვით ეწოდება ციურ სხეულს „იკაროსი“. მის გალათინურებულ სახელთანაა დაკავშირებული ავტოქარხნის „იკარუსი“ და ამ მარკის ავტობუსების სახელწოდება.

ილიადა

„ილიადა“ ჰომეროსის დიდებული ნაწარმოებია, რომელშიც ტროიას ომის ერცელი ამბებია აღწერილი. ნაწარმოები ხელოვნების მიუწვდომელ შედევრადაა აღიარებული. ამიტომაც ახლა დიდ, ვრცელსა და საინტერესო ამბავს, ძრძელ თავგადასავალს „ილიადას“ ვუწოდებთ.

იობის მოთმინება

„ბიბლიის“ მიხედვით არაბეთში, ესის მხარეში ცხოვრობდა ერთი წმინდა კაცი — იობი. იგი ღმერთისადმი ერთგულებითა და ყოველგვარი კეთილმოქმედებით გამოირჩეოდა. იყო მდიდარი და ბედნიერი, ჰყავდა შვიდი ვაჟი, სამი ასული, ურიცხვი მსახური და აუარებელი პირუტყვი. ჰქონდა დიდძალი ქონება. მთელ დროს ღმერთისმსახურებასა და ლოცვა-ვედრებაში ატარებდა. ღმერთიც ისმენდა მის ლაღადისს და სჯეროდა, რომ იობს მარად ეყვარებოდა. ეშმაკს შეშურდა და მისი მცდელობით ღმერთმა უკიდურესად გაანწარა იობი იმ მიზნით, რომ ეშმაკისათვის მისი სიწმინდე და ღმერთისადმი ერთგულება დაენტკიცებინა. სულ მოკლე ხანში იობს ხელიდან გამოეცალა ყოველგვარი სიმდიდრე. მერე ქარიშხალმა სასახლე დაუტეხა და ათივე შვილი ერთდროულად დაუხოცა. გამწარებულმა შოხუცმა სამოსი შემოიხია, თმა გადაიპარსა და თავისი გაჩენის დღეს წყევლიდა, მაგრამ ღმერთისადმი საყვედური მაინც არ შეუკადრებია, პირიქით, შემწეობას სთხოვდა.

ღმერთმა იფიქრა, ვძლიე ეშმაკსო, მაგრამ ეშმაკმა უთხრა: ეგ არაფერია, თავის თავზე განვაცდევინოთ მძიმე ტკივილები და ვნახოთ, თუ არ ვაგინებსო. იობს კეთრი შეეყარა და მთელი სხეული

საშინლად დაუწყლულდა. იგი საშინელი ხორციელი ტკივილით იტანჯებოდა, ბედშავ მოხუცს მწუხარებით გული გაელია, მაგრამ ღმერთის აუგად მოხსენიება აზრადაც არ მოსდიოდა. მერე მისი მეგობრები მივიდნენ, ასეთი საშინელებების გამო მიუსამძიმრეს, მაგრამ გული საშინლად ატკინეს — უმტკიცებდნენ, ალბათ, ცოდვილი ჰარ, თორემ ღმერთი ასე არ დაგსჯიდაო. ბოლოს, სიკვდილის პირას მისულ დავრდომილს სულის სიღრმემდე შეძრწუნებული ცოლიც მიეჭრა და ტარტაროზის მრისხანებით უბრძანა: დაგმე ღმერთი, რომ ამ სატანჯველს შენც განერიდო და მეც მომასვენოო, მაგრამ ვერაფერმა ძალამ ვერა და ვერ დააგმობინა იობს ღმერთი. არაადამიანური სიმტკიცით ითმენდა იგი ყოველივეს. ღმერთმა რომ ეს დაინახა და ამით ეშმაკს მოუგო, იობს ახალი სიცოცხლე არგუნა: შვილები აღუდგინა და მთელ ქვეყანაზე უბედნიერეს ადამიანად აქცია. აი, ამ ბიბლიური მითიდან მომდინარეობს გამოთქმა „იობის მოთმინება“ ან „იობის ტანჯვა“.

იოტისოდენა

„იოტა“ ბერძნული ანბანის ყველაზე პატარა ნიშანია. ფიქრობენ, რომ ამის გამო უნდა იყოს ეს სიტყვა ძალიან პატარას სინონიმი.

იუდა

ქრისტეს ერთ-ერთმა მოწაფემ — იუდამ გასცა ქრისტე, ჯალათებს ჩაუგდო ხელში და ამის მერე მაცხოვარი ჯვარს აცვეს. ამ დროიდან მოყოლებული იუდა საზოგადო სახელად იქცა და ბოროტ, მაბეზღარა, გამცემ ადამიანს ნიშნავს.

იუდას ამბორი

როდესაც ჯალათებს უნდოდათ, სხვებისაგან გამოერჩიათ ქრისტე, იუდას მოელაპარაკნენ, რომ იგი შეხვედრისას მივიდოდა და ეამბორებოდა მხოლოდ ქრისტეს. იუდა თითქოს დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ეამბორა მაცხოვარს, სინამდვილეში კი გასცა იგი. ამიტომაც „იუდას ამბორმა“ განზოგადებული სახე მიიღო და ცბიერი, გამცემი ადამიანის მოჩვენებით ალერსს ნიშნავს.

იუპიტერი

იუპიტერი ზევსთან გაიგივებული ცის რომაული უმაღლესი ღვთაებაა. მასთანაა დაკავშირებული პლანეტა იუპიტერის სახელწოდება. იუპიტერს ვუწოდებთ აგრეთვე დიდ, სახელოვან და მკაცრ ხელმძღვანელს.

კაენი

„ბიბლიის“ მიხედვით ადამისა და ევას ვაჟმა—კაენმა მოკლა თავისი ღვიძლი ძმა — აბელი და ამით პირველი მკვლელობა ჩაიდინა

დედამიწაზე. ამიტომაც ახლა კაენს მკვლელს, სისხლისმოყვარე ადამიანს ვუწოდებთ. ზოგჯერ სიკვდილის სინონიმიცაა იგი.

კართაგენი უნდა დაემხოს

ძველი ქალაქი — კართაგენი მართლაც დაამხვეს რომაელებმა. გაგოთქმა დიდ მხედართმთავარსა და სახელმწიფო მოღვაწეს — კატონ უფროსს ეკუთვნის, იგი თავის ყოველ გამოსვლას სენატში ამ წინადადებით ამთავრებდა.

თანამედროვე გაგებით ეს გამოთქმა ნიშნავს: საქმე უცილობლად უნდა გაკეთდეს, მოსახდენი უნდა მოხდეს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს.

კასანდრას წინასწარმეტყველება

კასანდრა ტროას მეფის — პრიამოსის ქალიშვილი იყო. იგი აპოლონ ღმერთს შეუყვარდა და წინასწარმეტყველების ნიჭი მიმადლა იმ პირობით, რომ დანებდებოდა. კასანდრამ აპოლონის სურვილი უარყო და გაჯავრებულმა ღმერთმა საქმე ისე მოაწყო, რომ ქალს წინასწარმეტყველებას აღარავინ იჯერებდა. მაგალითად. კასანდრამ სრულიად დამაჯერებლად იწინასწარმეტყველა, რომ ტროა დაეცემოდა. მაგრამ არავინ დაუჯერა.

როდესაც აგამემნონმა კასანდრა მიკენში მიიყვანა, მისანი ქალი კარს მიმდგარ უბედურებას გრძნობდა და ხედავდა, იცოდა, რომ აგამემნონიც და თვითონაც დაიღუპებოდნენ, მაგრამ თავის დახსნა არ შეეძლო. როგორც ცნობილია, კასანდრაც და აგამემნონიც ამ უკანასკნელის მეუღლე კლიტემნესტრამ მართლაც მალე მოკლა.

ამ მითიდან გამომდინარე, კასანდრას უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომელიც წინასწარ გრძნობს მოახლოებულ დიდ უბედურებას, მაგრამ განრიდება არ შეუძლია. „კასანდრას წინასწარმეტყველება“ კი ისეთ რჩევას ეწოდება, როდესაც მრჩეველს ღრმად სწამს, რასაც ამბობს. მაგრამ მსმენელი მაინც ჯიუტად არ უჯერებს.

კასტორი და პოლიქსე

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ესენი ნახევარძმები იყვნენ. მათი საერთო დედა იყო ლედა, კასტორის მამა — სპარტელი მეფისწული ტინდარეოსი, პოლიქსესი კი — ზევსი. როგორც ღმერთის შვილი, პოლიქსე უკვდავი იყო. კასტორი კი — მოკვდავი. როცა კასტორი გარდაიცვალა, პოლიქსე შეევედრა მამას, მომკალიო, რომ ძმასა და მეგობარს არ დაშორებოდა. ზევსმა ორი პირობა შესთავაზა: ან მარტოს სამარადისოდ ღმერთებთან ოლიმპზე ეცხოვრა, ან ძმასთან ერთად ერთი დღე ოლიმპზე ყოფილიყო, მეორე კი— ჰადესში. პოლიქსემ ეს უკანასკნელი არჩია... ამიტომაც ახლა კასტო-

რსა და პოლიქსეს უწოდებენ ერთიმეორისათვის თავდადებულ ძმებს, ფეგობრებს.

კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო

გამოთქმა გამოიყენება მაშინ, როცა ვინმე მიზანს ვერ მიაღწევს და სხვის გასაგონად ამბობს, შემეძლო ამ საქმის გაკეთება, მაგრამ რაღაც საპატიო მიზეზით გადავიფიქრეო. გამოთქმა, ცხადია, დაცინვაა, რადგან კატა არ დაგიდევს მარხვას (პარასკევი ხომ სამარხულო დღეა), თუკი სადმე ძეხვი იშოვა.

კერბერი

ავ, მრისხანე დარაჯს, მოუსყიდველ მცველს ხშირად უწოდებენ ხოლმე კერბერს, ან ცერბერს. ეს გამოთქმა დაკავშირებულია ძველბერძნულ მითოლოგიაში საყოველთაოდ ცნობილ ურჩხულთან, რომელიც ჯოჯოხეთის ანუ ჰადესის კარს დარაჯობდა. იგი იყო საშინელი ეოფაკი, მას ჰქონდა სამი საზიზღარი თავი, მის კისრებზე საშინელი გველები იკლაკნებოდნენ და კუდადაც მრისხანე გველი ჰქონდა. კერბერი ჰადესში (ზოგჯერ ჰადესი გაიგივებულია საერთოდ სულების ქვეყანასთან) ყველას უშვებდა, იქიდან კი — არავის. ერთადერთი. ვინც მობრუნდა, ორფევსი იყო, რომელმაც საუცხოო ფელოდიით კერბერის მრისხანე გულიც კი მოალბო. ცერბერი კერბერის ლათინური სახელია.

კვაჭი კვაჭანტირაძე

ასე მოვიხსენიებთ გაქნილ საქმოსანს, ცუღლუტს, რომელიც ყველაფერს კადრულობს და ყოველგვარ საქმეს თავის სასარგებლოდ „აკვარახჭინებს". გამოთქმა მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სათაურის მქონე ნაწარმოებიდან მოდის.

კოლოსალური

კოლოსს უწოდებენ უზარმაზარ, ყოველგვარ ზომაზე მეტ ვინმეს ან რაიმეს ქანდაკებას. ასეთი იყო, მაგალითად, როდოსის ნავსადგურის შესასვლელში დადგმული 70 მეტრის სიმაღლის მზის ღმერთის — ჰელიოსის ქანდაკება, რომელიც ჩვენს ერამდე 224 წელს დაინგრა მიწისძვრის შედეგად. მას კოლოსსაც ეძახდნენ. აქედანაა სიტყვა „კოლოსალური".

კოლოსი თიხის ფეხებზე

გამოთქმა „ბიბლიიდან" მომდინარეობს. ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა სიზმარში ნახა მეტალის უზარმაზარი კერპი, რომელიც თიხის ფეხებზე იდგა. ბორცვიდან დაგორებული ქვა თიხის ფეხებს მოხვდა და კერპი დაიმსხვრა. გამოთქმა იხმარება შესახედავად ძლიერი, გრანდიოზული, სინამდვილეში კი სუსტისა და უნიათოს გამოსახატავად.

ლაბირინთი

ძველი მწერლები და ისტორიკოსები ოთხ ლაბირინთს იცნობენ. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია კრეტის ლაბირინთი. რომელიც, მითების თანახმად, დედალოსმა მიწისქვეშ კრეტის მეფე მინოსის ბრძანებით გამოკვეთა ეგრეთწოდებული მინოტავრისათვის. ესაა რამდენიმე ათასი ოთახისაგან შემდგარი მიწისქვეშა ნაგებობა. ოთახები ერთიმეორეს ძნელადგასაგნები ჭვრელებითა და კარებით უკავშირდებიან (იხ. არიადნეს ძაფი). თანამედროვე გაგებით „ლაბირინთი" ნიშნავს არა მარტო ასეთ ნაგებობას, არამედ არეულ, გამოუვალ მდგომარეობას, რთულ სიტუაციას, საიდანაც ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიცაა თავის დაღწევა. აქედანაა წარმოქმნილი, როგორც ჩანს, ანატომიური ტერმინი (ყურის) ლაბირინთი.

ლაზარეს აღდგინება

„სახარების" მიხედვით, ქრისტემ ოთხი დღის გარდაცვლილი ლაზარე გააცოცხლა (იოანე, II, 38—44). აქედან გამომდინარე, „ლაზარეს აღდგინებას" მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნებას, კლინიკური სიკვდილიდან დაბრუნებას, საერთოდ, დასაღუპავად განწირულის გადარჩენას ვუწოდებთ.

ლაკონიური

სპარტელებით დასახლებულ პელეპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ლაკონია ეწოდებოდა. აქაური მცხოვრებლები მოკლედ და გასაგებად ლაპარაკობდნენ. სიტყვა „ლაკონიური" პირველად პლატონს გამოუყენებია „პროტაგორაში". ამ სიტყვას დიალოგში ხმარობს სოკრატე და, გამორიცხული არ არის, რომ ამ ეპოქაში იგი უკვე კარგად გავრცელებული იყო. თანამედროვე გაგებითაც, როგორც ვიცით, „ლაკონიური" მოკლე და ღრმააზროვან ნათქვამს, ისეთ მოკლედ გამოთქმულ სიტყვას ან წინადადებას ნიშნავს, რომელიც დიდი აზრით არის სავსე.

ლამაზისეული

ი. ჭავჭავაძის სატირული მოთხრობის „კაცია ადამიანი?!" ერთ-ერთი მოქმედი პირი — ლამაზისეული არის ცხოველის დონეზე დასული მსახური ქალის ტიპი როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით. ეს სახელი მისთვის დაცინვით შეურქმევია კნეინა დარეჯანს. მას პირადი ჰიგიენაც კი დავიწყნია, საკუთარ ინტერესებსა და აზრებს რომ თავი დავანებოთ. ამის მიხედვით ახლაც „ლამაზისეულს" ულამაზო, ბინძურ, თავმოყვარეობადაკარგულ ქალს ვეძახით.

ლედას კვერცხიდან

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ეტოლიის მეფის ქალიშვილი —

ლედა ზევსმა შეიყვარა. ზევსი ქალს არ ეშვებოდა და ლედა იძულებული გახდა, გედად გარდასახულიყო. მაშინ ზევსიც გედად გარდაისახა და მაინც შეისრულა წადილი. გედადქცეულმა ლედამ ამ კავშირის შედეგად კვერცხი დადო და, ამ კვერცხიდან მშვენიერი ელენე გამოიჩეკა. ეს ის ელენეა, რომელიც შემდეგ ტროელმა მეფისწულმა — პარისმა მოიტაცა და ამას კი ტროის ომი მოჰყვა. გამოთქმა მიეკუთვნება ჰორაციუსს (65—8 წ.წ.), რომელიც ნაშრომში „პოეტური ხელოვნებისათვის“ აქებს ჰომეროსს, რადგან მან ბერძნების ტროელების წინააღმდეგ ლაშქრობის ამბავი „ლედას კვერცხიდან“ კი არ დაიწყო, არამედ მკითხველი მოვლენათა შუაგულში პირდაპირ შეიყვანა. ახლა „ლედას კვერცხიდან დაწყება“ ნიშნავს რაიმეს გაჭიანურებულად, შორეული მიზეზებიდან დაწყებას.

ლეთა

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით, როცა ადამიანი კვდება, საიქიოში მიმავალი მისი სული გადაივლის მდინარე ლეთას, მის წყალს დალევს და ამის მერე ყველაფერი ამქვეყნიური ავიწყდება.. გამოთქმა: „ლეთას წყალი დალია“ ნიშნავს, „გარდაიცვალა“, სამუდამო დავიწყებას მიეცა, ანდა, დაავიწყდა ყოველივე ამქვეყნიური. ამ გამოთქმას ჰგავს ქართული გამოთქმა „ჩაილურის წყალი დალია“

ლოტოფაგი, ლოტოსის ჭამა

ჰომეროსის „ოდისეაში“ მოხსენიებულია ხალხი, რომლებიც მცენარე ლოტოსს ჭამენ, ამის გამო ყოველგვარი წარსული ავიწყდებათ და თავს მხიარულად გრძნობენ. მათ ლოტოფაგები — ლოტოსისმჭამელები ჰქვიათ. გადატანითი მნიშვნელობით „ლოტოფაგს“ ეუწოდებთ ადამიანს, რომელიც წარსულს ანგარიშს არ უწევს. „ლოტოსის ჭამას“ — კი — წარსულის დავიწყებას.

ლუარსაბ თათქარიძე

ლეონარა, ზარმაც, მხოლოდ ჭამა-სმისათვის გაჩენილ, მსუქან და გონებაჩლუნგ მამაკაცს დაცინვით და ზიზღით ლუარსაბ თათქარიძეს ვეძახით ილია ჭავჭავაძის მოთხრობის („კაცია ადამიანის?!“) მიხედვით.

მადა ჭამაში მოდის

ასე ვამბობთ მაშინ, როცა რაიმე წარმატებას მივაღწევთ, ან რაიმეს მოვიპოვებთ და კვლავ ვაგრძელებთ მცდელობას მეტის შესაძენად. გამოთქმა მომდინარეობს ფრანსუა რაბლეს (1494—1553) ცნობილი რომანიდან „გარგანტუა და პანტაგრუელი“. როგორც რომანიდან ვიცით, გარგანტუა განუზომელი რაოდენობით ჭამდა და პირდაპირი

გაგებით ამბობდა, „მადა ჭამაში მოდისო“. მას პირში საჭმელს ნიჩ-ბებით აყრიდნენ და ღვინოს ჩაფებით ასხამდნენ.

მათუსელა

„ბიბლიის“ მიხედვით (დაბ. 5, 27) ერთ-ერთმა მამამთავარმა — მა-თუსელამ 969 წელს იცოცხლა. გადატანითი მნიშვნელობით ნიშ-ნავს ადამიანს, რომლის ასაკი თანამედროვეთაგან აღიარებულ სი-ცოცხლის ხანგრძლივობას გადააჭარბებს.

მამა აბრამის ბატკანი

აბრაამი ბიბლიური პირია. მას ჰყავდა უსაყვარლესი შვილი — ისაა-კი. ერთხელ ღმერთმა მოისურვა, გამოეცადა აბრაამის ერთგულე-ბა და უბრძანა, ისააკი მისთვის შეეწირა და სამსხვერპლო კოცონ-ზე დაეწვა. აბრაამმა რომ ისააკი სამსხვერპლოზე აიყვანა დასაკლა-ვად, ღმერთის ბრძანებით ანგელოსმა მახვილშემართული ხელი გა-ეჩერა და ისააკის მაგიერ უცოდველი, უმანკო ბატკანი მიჰგვარა. ისააკის მაგიერ ეს ბატკანი დაკლა და შესწირა ღმერთს. ამიტომაც „მამა აბრამის ბატკანს“ უწოდებენ ხოლმე უმწიკვლო ადამიანს, ომელსაც არავის წინაშე არასდროს არაფერი დაუშავებია. მაგ-რამ რაღაცნაირ სასჯელს მაინც ღებულობს. გამოთქმას ხშირად ცი-ნიკური, საპირისპირო მნიშვნელობით ვიყენებთ იმ ადამიანების მი-მართ, რომლებიც ცოდვილნი არიან. მაგრამ საზოგადოებას ან ცალ-კეულ ინდივიდს თავს ყოვლად უცოდველად აჩვენებენ.

მანანა

ბიბლიური მითის მიხედვით (გამოსვლათა 17. 14—16), როცა ლტო-ლვილი ებრაელები ეგვიპტის უდაბნოებში მიდიოდნენ, ღმერთი მათ ციურ საკვებს — მანანას უგზავნიდა. ახლა გამოთქმას აქვს ულრომე-ლი საკვების, შემოსავლის მნიშვნელობა.

მარილზე წავიდა

გამოთქმა წმინდა ქართულია და საქართველოს მძიმე წარსულთანაა დაკავშირებული. ძველ საქართველოში მარილი, ადამიანის არსე-ბობის ეს ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, აღზევანიდან შემოჰქონ-დათ, მაგრამ აღზევანს გამგზავრება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავ-შირებული. რადგან ხშირად მგზავრებს ყაჩაღები ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ ან ხოცავდნენ. ამიტომაც მარილზე წასული კაცი ძნელად და იშვიათად თუ ბრუნდებოდა უკან ცოცხალი. მარილზე წასულთა სიკვდილიანობა ისეთი ხშირი გახდა, რომ წარმოიშვა გა-მოთქმა „მარილზე წავიდა“, რაც ნიშნავს „მოკვდა“, „გარდაიცვა-ლა“.

საქართველოში მარილის სიმცირემ და სიძვირემ წარმოშვა კი-

დეკ ერთი გამოთქმა — „ამან გააძვირა მარილი“. ამ სიტყვებით ბავშვები ერთ რომელიმე თითქოს ან სინამდვილეში დამნაშავე ბავშვს მიესევიან და ცემას და წვალებას დაუწყებენ. „დამნაშავედ“, „მარილის გამძვირებლად“ შეიძლება უსულო საგანიც ჩაითვალოს და მაშინ მას სცემენ წიხლებს, აქეთ-იქით ცემა-გვემით ატარებენ და გაიძახიან: „დაჰკარით, დაჰკარით, ამან გააძვირა მარილი!“

მარსი, მარსის ველი, მარსის შვილი

რომაული მითოლოგიის მიხედვით მარსი ომის ღმერთია. ახლა მარსი ან მარსის შვილი ნებრძოლის მნიშვნელობით, სასტიკი კაცის გაგებით გამოიყენება, მარსის ველს კი ბრძოლის ველს უწოდებენ. მარსის ველი ანუ მოედანი იყო ძველ რომში, შემდეგ პარიზსა და პეტერბურგშიც. სადაც სამხედრო ზეიმები და მსვლელობა-ვარჯიშები იმართებოდა.

პლანეტას მარსი იმიტომ შეერქვა, რომ დედამიწიდან იგი სისხლისფერი ჩანს.

მაცდური გველი

გამოთქმა „პიბლიიდან“ მომდინარეობს, გველმა ხომ ევა და ადამი აცდუნა და აკრძალული ხილი აგემებინა, რის გამოც ღმერთმა ისინი სამოთხიდან გამოაძევა. გამოთქმა ბოროტი, მაცდური ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება.

მენელაოსი

ბერძნული მითოლოგიისა და ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით მენელაოსი სპარტის მეფე და მშვენიერი ელენეს ქმარია. როცა იგი სხვაგან იყო წასული, მისი ცოლი — ელენე სპარტის მეფისწულ— პარისს გაჰყვა ცოლად.

გადატანითი მნიშვნელობით მენელაოსი ნიშნავს მოტყუებულ, სხვაზე გაცვლილ ქმარს.

მენტორი

ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით (ამასვე გადმოგვცემენ გვიანდელი მითები) მენტორი იყო ოდისევსის ვაჟის — ტელემაქეს მეურვე და დამრიგებელი, ბრძენი და გამოცდილი პიროვნება, სიბრძნით დადინჯებული მოხუცი. მენტორად გარდასახული ათენა ქალღმერთი დაჰყვებოდა ტელემაქეს, როცა იგი მამის საძებნად მოგზაურობდა. აქედან გამომდინარე, ლიტერატურასა და ყოველდღიურ სამეტყველო ენაში „მენტორი“ დარჩა ჭკვიანი, ცხოვრებისაგან გამობრძმედილი დამრიგებლის სიმბოლოდ. რა თქმა უნდა, აქედან მომდინარეობს აგრეთვე ესოდენ გავრცელებული გამოთქმა „მენტორული ტონი“.

მეორე მე (ალტერ ეგო)

გამოთქმა, როგორც დიოგენე ლაერტელი გადმოგვცემს, ბერძენ ფილოსოფოსს — ძენონს უნდა ეკუთვნოდეს (346—264), თუმცა ალექსანდრიელი მეცნიერი პორფირიოსი ამ გამოთქმას პითაგორას მიაწერს. გამოიყენება საუკეთესო მეგობრის, ან ძალიან მსგავსის მნიშვნელობით. ლიტერატურაში ეს გამოთქმა უფრო ხშირად ლათინურად იხმარება.

მერკური

რომაული მითოლოგიის მიხედვით მერკური იყო მეკვირმეტყველების ღვთაება, ვაჭრობისა და ვაჭრების მფარველი (ვაჭრებს ხომ სხვა ნონაცემებთან ერთად მეკვირმეტყველებაც სჭირდებათ), ღმერთთა მაცნე. მერკურის გამოსახულებებს ვხვდებით სავაჭრო გემებსა და პალატებში, ბანკებში. თანამედროვე გაგებით მერკური ყველაზე ხშირად მაცნეს გამოხატავს.

მეშვიდე ცა

არისტოტელეს მიხედვით ცა შედგება შვიდი უძრავი კრისტალური სფეროსაგან, რომლებზეც მიმაგრებულია ვარსკვლავები და პლანეტები. მეშვიდე ცაზე უდიდესი განცხრომა და ღვთაებრივი ნეტარებაა.

„მეშვიდე ცაზე ასვლა“ განუზომელ სიხარულს, უდიდეს ბედნიერებას ნიშნავს. ეს გამოთქმა, ცხადია, დაკავშირებულია აგრეთვე ძველ დროში ცნობილ შვიდ პლანეტასთან. არსებობს აგრეთვე გამოთქმა „მეცხრე ცა“. რაც იმისი მაუწყებელია, რომ ტერმინის შექმნის დროს უკვე იცნობდნენ მზის ოჯახის ცხრავე პლანეტას.

მეშჩანი

სიტყვა პოლონური წარმომავლობისაა და ქართულად „ქალაქელს“ ნიშნავს. მეშჩანები თავიდან პოლონეთისა და ლიტვის დიდი ქალაქების მცხოვრებლებს ეწოდებოდათ, ხოლო 1775 წლის შემდეგ მეშჩანებს უწოდებდნენ საერთოდ ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს, ბინათმფლობელებს და სხვა ამგვარ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი. გამოთქმა თანამედროვე გაგებით სწორედ ამ უკანასკნელთაგან მომდინარეობს. მეშჩანებს ახლა ვუწოდებთ ადამიანებს, რომლებიც გამდიდრების მანიით არიან შეპყრობილნი, არა აქვთ მაღალი იდეალები და თვით გემოვნებაც კი.

მეცენატი

ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მეორე ნახევარში რომში ცხოვრობდა სახელგანთქმული და კეთილი, ამავე დროს მდი-

დარი კაცი გაიცა ცალიერეს მეცენატი, რომელიც დიდ მფარველობას და თანადგომას უწევდა მხატვრებს, პოეტებს, მეცნიერებს... ახლა მეცენატს ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც საერთო-სახალხო რაიმე კეთილ საქმეს მფარველობს და ეხმარება.

მთავარანგელოზის საყვირი

„ბიბლიის" მიხედვით (აპოკალიფსი, 8, 2—12), დადგება დრო, როცა განისჯება ყველა ცოცხალი და გარდაცვლილი, იქნება საყოველთაო განსჯა და ცოდვილთა დასჯა. მთელი ძალით ჩაბერავს მაშინ მთავარანგელოზი საყვირში საყოველთაო სამსჯავროს დასაწყისის მაუწყებლად.

გადატანითი მნიშვნელობით „მთავარანგელოზის საყვირი" განსჯის, დამნაშავეთა გამოაშკარავებისა და დასჯის დასაწყისს ნიშნავს.

მიახუთშაბათა

როგორც ვიცით, იყო დრო, როდესაც რელიგიური რწმენის საფუძველზე, პარასკევი უქმე დღედ ითვლებოდა და ამის გამო ხუთშაბათ საღამოსაც აღარ შეიძლებოდა მუშაობა. ამიტომ კაცი, რომელიც ხუთშაბათს რაიმე საქმეს ადგა, მას აჩქარებულად, უხარისხოდ აკეთებდა, როგორმე რომ მოესწრო. იგივე წარმოშობისაა გამოთქმა „მიაშაბათა", რადგან კვირა და კვირაძალი (შაბათ საღამო) უქმედ ითვლებოდა და შაბათს მიმდინარე საქმეც აჩქარებულად, უხარისხოდ კეთდებოდა, რომ მშრომელისათვის კვირაძალს არ მოესწრო და სამუშაო დაუმთავრებელი არ დარჩენოდა. ამიტომაა, რომ ახლა „მიხუთშაბათებას" ან „მიშაბათებას" საქმის აჩქარებულად, ხარისხოდ. უგულოდ გაკეთებას ვუწოდებთ.

მიზეზ-მიზეზ რაშიაო, დოს მარილი აკლიაო!

ვამოთქმას ვიყენებთ მაშინ, როცა ვინმე უმიზეზოდ ჭირვეულობს. საქმე ისაა, რომ დოს საერთოდ არ სჭირდება მარილი.

მოასორომგორომა

„ბიბლია" გვიამბობს, რომ არსებობდა ქალაქები: სოდომი და გომორი. ამ ქალაქებში მეტად თავხედი და მკრეხელი ხალხი ცხოვრობდა. რის გამოც ღმერთმა იაჰვემ გადაწყვიტა, მოესპო ეს ქალაქები თავიანთი მცხოვრებლებითურთ. მართლაც, ერთხელ „ღმერთმა აწვიმა სოდომსა და გომორს წუმწუმა და ცეცხლი" და ორივე ქალაქი მიწასთან გაასწორა. სწორედ ეს მითი უძევს საფუძვლად გამოთქმას „მოასოდომგომორა", რაც ხალხურმა მეტყველებამ, ქართული ენის ფონეტიკის საფუძველზე, „მოსორომგორომებად" შესცვალა. ე. ი. მოასოდომგომორა ან მოასორომგორომა ნიშნავს „მოსპო", „გაანადგურა".

მონანიე მაგდალინა

„სახარების“ მიხედვით იესო ქრისტემ ვინმე მაგდალინელი მარიამი განკურნა, შვიდი ეშმაკი განაგდო მისგან და გზასაცდენილი ქალი გამოასწორა. შემდეგ მარიამ მაგდალიხელი მისი მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ქალი გახდა. გადატანითი მნიშვნელობით მონანიე მაგდალინას ეძახიან ქალებს, რომლებმაც ახალგაზრდობა მსუბუქი ყოფაქცევით გაატარეს, შემდეგ კი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ და წესიერი შრომა დაიწყეს. სხვადასხვა ქვეყანაში ასეთ ქალთა თავშესაფარებიცაა და მათ მაგდალინათა თავშესაფარს ეძახიან.

მორფეოსი

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით მორფეოსი ძილის ღმერთის — ჰიპნოსის ვაჟია, სიზმრის განსახიერება და მფარველია. იგი ფრთოსანი ღვთაებაა და სიზმრის სიმბოლოდაა მიჩნეული.

მსოფლიოს შვიდი საოცრება

ეგვიპტის პირამიდები, სემირამიდას ბაღები ბაბილონში, არტემიდეს ტაძარი ეფესში, ფიდიასის შესრულებული ზევსის ქანდაკება, მავზოლის აკლდამა, რომელსაც შემდეგ „მავზოლეუმი“ ეწოდა, როდოსის კოლოსი ანუ ჰელიოსის 70 მეტრიანი სპილენძის ქანდაკება, 180 მეტრი სიმაღლის მარმარილოს კოშკი — შუქურა კუნძულ როდოსზე მსოფლიოს შვიდ საოცრებადაა მიჩნეული. გადატანითი მნიშვნელობით ხელოვნების რაიმე დიდებულ ნიმუშს მსოფლიოს მეექვე საოცრებას უწოდებენ.

მურმანის ეკალივით

ცნობილი ქართული ზღაპრის „ეთერის“ მიხედვით, ეთერზე შეყვარებული მეფე აბესალომი გარდაიცვალა იმის გამო, რომ მისივე მიზეზით მისი ახლადშერთული მეუღლე, უმშვენიერესი ეთერი ცბიერებით ხელთ იგდო მიჩვა ვეზირმა—მურმანმა. აბესალომის სიკვდილით გამწარებულმა ეთერმაც თავი მოიკლა. ისინი ერთად, გვერგიგვერდ დამარხეს. ეს რომ შორი ქვეყნიდან დაბრუნებულმა მურმანმა გაიგო, მათ საფლავებს შორის თავისი საფლავი ამოჭრა, შიგ ჩაწვა და თავი მოიკლა.

ლეგენდის თანახმად, აბესალომისა და ეთერის საფლავებზე ამოდის ვარდი და ია, მურმანისაზე კი — ეკალი. გადაიხრებიან ხოლმე ვარდი და ია ერთიმეორისათვის ჩასაკონებლად, მაგრამ ხელს უშლით მურმანის საფლავზე ამოსული ეკალი.

გამოთქმას ვიყენებთ მაშინ, როცა ვინმე მესამე დგას შეყვარებულ ქალ-ვაჟს შორის და მათ ურთიერთსიყვარულის საშუალებას არ აძლევს.

ნაპოვნი დანასავით შერჩა

დანას ოდითგანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა მოდგმისათვის და დღესაც არ დაუკარგავს იგი. ამან საქართველოში დანის ერთგვარი კულტი შექმნა. კერძოდ, თუ ვინმე ვინმეს დანას ან სხვა რაიმე ბასრ იარაღს აჩუქებდა, ეს გარკვეულ წესის დაცვას მოითხოვდა. ყოველ შემთხვევაში, მიუღებელი იყო ნაჩუქარი იარაღის უკანვე დაბრუნება, რაც შემდეგ ნათხოვარსა და ნაპოვნზეც გავრცელდა. დღესაც, თუ ვინმე ვინმეს ხელში მისცემს გაშლილ დასაკეც დანას, იგი პატრონს აღარ უნდა დაუბრუნდეს.

დანა ხომ ჭრილობის, ტკივილის, სიმწარის მიმყენებელია და მისი უკან დაბრუნებაც ავის მომასწავებელია. ალბათ ეს აქვს მხედველობაში ქართული ლექს||სიმღერის ავტორს: „გოგოვ, გოგოვ შავთვალა. ბიჭმა შემოგითვალა, ან მომეც ჩემი დანა, ან გამომყევი თანა“ ესე იგი, ვაჟი უთვლის ქალს: ან დამიბრუნე ჩემი დანა და ამით უდიდესი ტკივილი მომაყენე, ანდა, ცოლად გამომყევი და შენც ჩემი გახდები და დანაცო. რა თქმა უნდა, დანას ამ შემთხვევაში მეტაფორული მნიშვნელობა აქვს.

ამ ჩვეულების თანახმად, მიუღებელი იყო ნაპოვნი დანის უკან დაბრუნება და არც პატრონი ითხოვდა მას. აი, ამან წარმოშვა გამოთქმა „ნაპოვნი დანასავით შერჩა“. ასე მაშინ ვამბობთ, როცა ვინმე უსასყიდლოდ მიითვისებს რაიმეს, ანდა დანაშაულს ჩაიდენს და შესაბამისად არ დაისჯება. იგივე მნიშვნელობით იხმარება გამოთქმა **„ხახვივით შერჩა“**. ხახვი მწარეა და თუ ვინმე ვინმეს სესხად მისცემს, უკან აღარ იბრუნებს იმ მოტივით, რომ იგი სიმწარის სიმბოლოა.

ნარცისი

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ნარცისი იყო ულამაზესი ყმაწვილი, რომელსაც არასდროს არავინ ჰყვარებია. ერთხელ მან ნაკადულში საკუთარი თავი დაინახა, რამაც აღტაცებაში მოიყვანა და თავისი თავი შეუყვარდა. სიყვარული ისეთი ძლიერი იყო, რომ დიდი გრძნობის გამო ყმაწვილი გარდაიცვალა. ოვიდიუსის მიხედვით იგი ყვავილ ნარცისად იქცა. გადატანითი მნიშვნელობით თავის თავზე ან თავის შემოქმედებაზე უზომოდ და უაზროდ შეყვარებულ ადამიანს ნიშნავს.

ნემესიდა

ნემესიდა შურისძიების ქალღმერთი იყო ძველბერძნულ მითოლოგიაში. ახლა ეს სიტყვა შურისძიებას, სამაგიეროს გადახდას ნიშნავს.

ნესტორი

ბერძნული მითოლოგიით ნესტორი კალიდონის ნადირობის, არგონავტთა ლაშქრობისა და ტროის ომის მონაწილეა. მან დიდხანს იცოცხლა. ბევრი რამ ნახა და განიცადა. გამოირჩეოდა დიდი სიმამაცით, სიბრძნითა და გონიერებით. ნესტორი ახლა წელთა სიმრავლითა და ცხოვრებით გამობრძმედილ, გამჭრიახ მოხუცს ნიშნავს.

ნიანგის ცრემლები

თურმე, ნიანგი რომ მსხვერპლს იხელთებს, სანამ შეჭამდეს, ცრემლებს ღვრის. „ნიანგის ცრემლებს ღვრისო" — ამბობენ ადამიანზე. რომელიც თვალმაქცურად, თითქოს იზიარებს სხვის უბედურებას. სინამდვილეში კი კიდეც უხარია მისი გასაჭირი.

ნიობეს წუხილი

ტანტალოსის ქალიშვილს, ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთ ცნობილ პერსონაჟს ჰყავდა მრავალი ქალ-ვაჟი, თავს ძალიან ბედნიერად თვლიდა და ერთი ქალ-ვაჟის — აპოლონისა და არტემიდეს დედას — ლეტოს დასცინოდა. ნიობე თებელ ქალებს მოუწოდებდა, რომ ღმერთქალ ლეტოსადმი თაყვანისცემა და მსხვერპლთშეწირვა შეეწყვიტათ. რადგან იგი არ იმსახურებდა ამას. განაწყენებულმა ლეტომ თავისი გულისტკივილი შვილებს შესჩივლა. ლეტოს სურვილით აპოლონმა დახოცა ნიობეს ვაჟები, არტემიდემ კი — ქალიშვილები. გამწარებულმა მამამ თავი დაიხრჩო, ხოლო მწუხარებით გათანგული ნიობე გაქვავდა და კლდედ გადაიქცა. აი, ასე, ადამიანი, რომელიც თავს ძალიან ბედნიერად თვლიდა, უცებ უკიდურესად უბედური გახდა. ამ მიზეზით ლიტერატურასა და საერთოდ მხატვრულ მეტყველებაში „ნიობეს" ან „ნიობეს წუხილს" დიდ დარდს, დიდ ვულისწუხილს უწოდებენ.

ნოეს კიდობანი

„ბიბლიის" მითის მიხედვით, როცა ღმერთმა მსოფლიო წარღვნა მოავლინა, ღმერთისავე შთაგონებით ნოემ დიდი კიდობანი ააგო და შიგ თითო წყვილი ყოველი არსება შეიყვანა, აგრეთვე, ყოველგვარი მცენარის თესლი შეიტანა და წყლის დაშრობის შემდეგ დედამიწაზე სიცოცხლე განაახლა. გადატანითი მნიშვნელობით იმ საშუალებას ნიშნავს, რომლითაც პიროვნების ან საგნის დაღუპვისაგან ხსნა შეგვიძლია.

ნუ დაუფენ წინაშე მარგალიტთა ღორთა...

ითქმის მაშინ, როცა ვინმე უვიცსა და რეგვენს არ ესმის იმ სიტყვების სიკეთე, რასაც ეუბნებიან, ვერ გებულობს იმ სიკეთეს, რასაც მისთვის აკეთებენ და სიკეთეზე ბოროტებით, ან სირეგვნით პასუხობს. ეს ოთქმა „სახარებიდან" მომდინარეობს.

ოდისეა

ამ გამოთქმას აქვს დიდი, ხანგრძლივი და ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის მნიშვნელობა. იგი ბერძენი გმირის, ტროას ციკლის თქმულებათა ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის — ოდისევსის თავგადასავალთანაა დაკავშირებული. მან ათ წელს იხეტიალა ზღვაზე ტროადან გამობრუნების შემდეგ და მშობლიურ ითაკას მხოლოდ შემდეგ მიაღწია. საერთოდ იგი მშობლიურ ითაკას ოცი წელი იყო მოწყვეტილი და მარად შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა, რის საფუძველზეც წარმოიშვა კიდევ ერთი მხატვრული გამოთქმა „ითაკა", რასაც საოცნებო, მშობლიური კუთხის მნიშვნელობა აქვს.

ოთარაანთ ქვრივი

ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით ასე ეუწოდებთ ცხოვრებასთან ჭიდილში გამოწრთობილ გამრჯე ქალს, რომელიც არავის და არაფერს ეპუება, იცავს სიმართლეს, საკუთარ ავტორიტეტსა და პატიოსნებას, ცხოვრებასთან ჭიდილში მამაკაცებს ტოლს არ უდებს.

ოლიმპიური სიმშვიდე

ოლიმპო მთა არის საბერძნეთში. ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ამ მთაზე ბინადრობენ ღმერთები, რომელთაც, ზოგადად, ოლიმპიელებს უწოდებდნენ. ასეთები იყვნენ: ზევსი, ჰერა, აფროდიტე, ათენა, აპოლონი და სხვები, მაგრამ როცა სიტყვა ოლიმპიელს ვამბობთ, უპირველესად ზევსი იგულისხმება.

როგორც ღმერთთა და კაცთა მამას და მბრძანებელს, ზევსს ყველაფერი შეეძლო და ამიტომაც ყოველგვარი პრობლემის წინაშე სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მას არც წინააღმდეგობა აშინებდა და არც წარმატება აამჩატებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ იგი ყოვლისშემძლე იყო.

აქედან მომდინარეობს მხატვრული გამოთქმა „ოლიმპიური სიმშვიდე". ოლიმპიური სიმშვიდით მოქმედებსო — ვიტყვით ადამიანზე, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული თავისი მოქმედების სისწორეში, სჯერა, რომ საქმეს კარგად დააგვირგვინებს და არ ღელავს, არც დროებით მარცხსა და არც წარმატებას განიცდის. ხშირად იგივე გამოთქმას საპირისპირო მნიშვნელობაც აქვს და ვამბობთ ისეთ ადამიანზე, რომელიც კარგად ხედავს, რომ არასწორად წარმართავს ამა თუ იმ საქმეს, მაგრამ მაინც ჯიუტობს, ვითომც აქ არაფერიაო და მცდარ ნაბიჯს არ თმობს.

ორსახოვანი იანუსი

რომაულ მითოლოგიაში იანუსი დროის, ყოველივე დასაწყისისა და

დასასრულის ღვთაება იყო, ამიტომაც მის გამოსახულებას ორი სახე ჰქონდა. ერთი, მოხუცი სახე მიპყრობილი იყო უკან, წარსულისაკენ, მეორე კი — ახალგაზრდა, წინ — მომავლისაკენ. აქედან ჭამომდინარე, იანუსს ორპირ ადამიანს, ან ორაზროვან საქმეს უწოდებენ.

ორფეოსი

ორფეოსი იყო სახელგანთქმული, ლეგენდარული ბერძენი მუსიკოსი, რომლის მუსიკის ჰანგები ერთნაირად აჯადოებდა სულიერ და უსულო ბუნებას... გადატანითი მნიშვნელობით სახელმოხვეჭილ, ღიდებულ მუსიკოსს ვუწოდებთ. გამოთქმა შეიძლება გამოვიყენოთ ირონიული გაგებითაც.

ოსას ოლიმპოზე შედგმა

ძველბერძნული მითოლოგიის ცნობილმა პერსონაჟებმა — ოტოსმა და ეფიალტემ, რომელთაც ალოადებს ანუ ალოევსის ვაჟებს უწოდებდნენ, ჰერასა და აფროდიტეს სიყვარულის დამსახურება გადაწყვიტეს და ამ მიზნით ცაში ასვლა მოისურვეს (ამ მითის მიხედვით ეს ღმერთები არა ოლიმპოზე, არამედ ცაში ცხოვრობენ), ამიტომ მათ გადაწყვიტეს, ოლიმპოს მთაზე ოსას მთა დაედგათ, ოსაზე კი — პელიონის მთა. ასეთი საქციელისათვის ისინი სასტიკად დაისაჯნენ.

სწორედ ამ მითიდან გამომდინარეობს მხატვრული გამოთქმა „ოსას ოლიმპოზე შედგმა“ დიდი, გრანდიოზული საქმის გაკეთების, ანდა მიუწვდომელი სურვილის მნიშვნელობით.

ოქროს წვიმა

არგოსის მეფე აკრისიოსს უწინასწარმეტყველეს. რომ მის ქალიშვილს — დანაეს შეეძინებოდა ვაჟი, რომელიც ბაბუამისს მოკლავდა და თვით გამეფდებოდა. ამის თავიდან ასაცილებლად მეფემ ქალიშვილი კოშკში ჩაკეტა და ამდენად. შვილის გაჩენის ყოველგვარი საშუალება მოუსპო.

ქალი უშვილოდ და გაუხარლად დაბერებისათვის იყო განწირული. მაგრამ ზევსი ოქროს წვიმად გადაიქცა, დანაეს დაეპკურა და ამ კავშირის შედეგად დანაემ საყოველთაოდ ცნობილი გმირი, ნახევარღმერთი პერსეევსი შვა. ამდენად, უაზრო ცხოვრებისათვის განწირული ქალი ზევსის ვაჟის დედა და უზენაესი ღმერთის სატრფო გახდა.

ამიტომაც ახლა, გადატანითი მნიშვნელობით, ოქროს წვიმას უწოდებენ უეცარ გამდიდრებას, ან სხვა რაიმე მოულოდნელ ბედნიერებას.

პანდორეს ყუთი

ძველბერძნული მითები გვიამბობენ, რომ პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს გადასცა. პრომეთეზე განრისხებულმა ზევსმა ადამიანების დასჯა განიზრახა და ასეთ ხერხს მიმართა: მჭედლობის ღმერთს — ჰეფესტოს უბრძანა, ქალღმერთის სიმშვენიერის ქალი შეექმნა. ჰეფეტსომ რომ ზევსის ბრძანება აღასრულა, მთავარმა ღმერთებმა სხვადასხვა ქალური ღირსება მიმადლეს ახლადშექმნილ არსებას. ქალს პანდორე დაარქვეს, რაც ბევრისაგან დასაჩუქრებულს ნიშნავს. შემდეგ, ზევსის სურვილის შესაბამისად, პანდორე ცოლად შეერთო პრომეთეს ძმამ — ეპიმეთემ. ეპიმეთემ საქორწილო საჩუქრად ზევსისაგან მიიღო რაღაც თავდახურული ყუთი, რომელშიც, თურმე, ადამიანთა მოდგმის შემაწუხებელი ყოველგვარი სენი და ვასაჭირი იყო ჩაკეტილი. ზევსმა ეპიმეთეს ამ ყუთის გახსნა აუკრძალა.

ერთხელ პანდორე მარტო დარჩა სახლში, ქალურმა ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ყუთს თავი ახადა. ყუთიდან უმალ ამოფრინდა ყოველგვარი სენი და სიდუხჭირე და მთელ დედამიწას ელვის სისწრაფით მოედო. ქალმა სასწრაფოდ დახურა ყუთი. მაგრამ მასში მედიდა დარჩა.

ამ მითის შინაარსიდან გამომდინარე, „პანდორეს ყუთი" ეწოდება სენის, დაავადებების გამომწვევ მიზეზთა ერთობლიობას ან ადვილსამყოფელს, სიდუხჭირის, ადამიანთა გაჭირვების წარმომშობ მოვლენებსა და საგნებს.

პანიკა

ერთი ბერძნული მითის მიხედვით ღმერთთა ოლიმპიერ მოდგმას ერთხელ უცნაური, თმით დაფარული არსება მოევლინა (დაიბადა), რომელიც ზოგს ჰერმესის, ზოგს კი ზევსისა და ერთ-ერთი ფერიას შვილად მიაჩნდა. მას თხის ფეხები, ცხვირი და კუდი ჰქოდნა. ეს ... ...

რობდნენ. პარნასის მთის ძირას გაშენებული იყო ქალაქი დელფო და აპოლონის სახელობის დელფოს განთქმული სამისნო. თანამედროვე გაგებით „პარნასი“ პოეტთა ჯგუფს, კრებულს ნიშნავს. „პარნასელ დებს“ მუზებს, „პარნასის ყვავილებს“ კი ლექსებს უწოდებენ.

პეგასი, პეგასის შეკაზმვა

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით პეგასი, გორგონა მედუზას შვილი, სასწაულმოქმედი ცხენი იყო. ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში ალექსანდრიელმა მეცნიერებმა პეგასი პოეტთა მფრნად მიიჩნიეს. პეგასის მითი ერთგვარად მუზების მითსაც უკავშირდება. ერთხელ, როცა მუზები გატაცებით მღეროდნენ, მათი სიმღერით მოხიბლული ჰელიკონის მთა იმოდენა გაიზარდა, რომ წვერი ცას მიაბჯინა. პოსეიდონის ბრძანებით პეგასი აფრინდა ჰელიკონის წვერზე, ფლოქვი დაჭერა და კვლავ თავის ძველ დონეზე დააბრუნა. ფლოქვის დარტყმის ადგილზე ამოხეთქა ანკარა წყარომ, რომლის წყალიც ითქოს, პოეტებს ლექსის წერას შთააგონებდა ხოლმე. ძველებს ჰელიკონის მთაც მუზების ადგილსამყოფელად მიაჩნდათ და ამდენად, რადგან პეგასი ამ მთასთან კავშირშია, როგორც ითქვა, მოგვიანებით იგი პოეტთა მფრნად მიიჩნიეს. ამიტომაც, პოეზიაში ფეხის შედგმას და წარმატებას „პეგასის შეკაზმვას“ უწოდებენ.

პენელოპე

საყოველთაოდ ცნობილ ბერძენ მითოლოგიურ გმირს — ოდისევსს ოცი წლის განმავლობაში ელოდებოდა ყოველგვარი ქალური სიმშვენიერით შემკული მეუღლე — პენელოპე. მისი სიმშვენიერით აღტაცებული ბერძენი დიდებულები ქალს მოსვენებას არ აძლევდნენ, რომ რომელიმე მათგანს ცოლად გაჰყოლოდა. აბეზარი საქმროებით შეწუხებულმა ქალმა ხერხს მიმართა: განაცხადა, მანამ ვერავის გაეყვები ცოლად, სანამ ჩემი მამამთილისათვის შეპირებული სუდარის ქსოვას არ დავამთავრებო. ამიტომ იგი რასაც დღე ქსოვდა, ღამით ფარულად არღვევდა, რათა არ დასრულებულიყო მისი საქსოი. გვიან, როდესაც, იგი გათქვეს და სასიძოებმა მისი ოინები გაიგეს, პენელოპემ განაცხადა: ცოლად მხოლოდ იმ ვაჟკაცს გავყვები, ვინც ოდისევსის მშვილდ-ისრით სროლაში გაიმარჯვებსო. მან კარგად იცოდა, რომ ოდისევსის მშვილდს ლარსაც კი ვერავინ მოეწვევდა თავისუფლად. ამასობაში ოცი წელი გავიდა და სწორედ მაშინ, როდესაც პენელოპეს საქმროები ოდისევსის მშვილდ-ისარს ებღაუჭებოდნენ, ოდისევსიც გამოჩნდა და მეტოქეები იქვე, თავისავე სახლში დახოცა.

პენელოპეს სახემ მოავალი შემდეგდროინდელი ადამიანი მეუღლისადმი ერთგულებით შთააგონა და იგი ლამაზი, ერთგული და მეუღლისადმი თავდადებული ქალის ზოგად სახელად და სიმბოლოდ იქცა. „პენელოპეს შრომას" კი ისეთ საქმიანობას უწოდებენ, რომელსაც ბოლო არ უჩანს, საქმე თითქოს კეთდება, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

პიგმალიონი

კუნძულ კვიპროსზე ოდესღაც უცხოვრია სახელგანთქმულ მოქანდაკეს, რომელსაც პიგმალიონი რქმევია. მას მრავალი უმშვენიერესი ქანდაკება შეუქმნია, მაგრამ ყველაზე ლამაზი და მოხდენილი ზღვის ულამაზესი ფერიას, გალატეას ქანდაკება ყოფილა. თურმე პიგმალიონს ისე შეუყვარდა თავისი ქმნილება, რომ მთელ დროს მასთან ალერსსა და ლაციცში ატარებდა, უცნაური სიყვარულით გათანგული ხელოვანი სხვას ვეღარაფერს აკეთებდა. სიყვარულის ქალღმერთს — აფროდიტეს შეებრალა ხელოვანი და გალატეას ქანდაკება გააცოცხლა. აღფრთოვანებულმა ხელოვანმა იგი ცოლად შეირთო.

თანამედროვე გაგებით „პიგმალიონი" თავის ქმნილებაზე მეტისმეტად, უაზროდ შეყვარებულ ხელოვანს ნიშნავს.

პროკრუსტეს სარეცელი

ძველბერძნული მითების მიხედვით მდინარე ეფისოსთან ბინადრობდა ცნობილი ყაჩაღი — დამასტე, რომელიც გამვლელ-გამომვლელებს შინ ეპატიჟებოდა, შემდეგ სპეციალურად დადგმულ სარეცელზე აწვენდა და, ვინც სარეცელზე გრძელი აღმოჩნდებოდა, ზედმეტ ადგილს აჭრიდა, იმას კი, ვინც სარეცელის სიგრძის არ აღმოჩნდებოდა, წელავდა და სარეცელს უტოლებდა. ამიტომ მას ზედმეტ სახელად „გამწელავს" ანუ „პროკრუსტეს" ეძახდნენ. ამ მითის მიხედვით გამოთქმა „პროკრუსტეს სარეცელი" ან „პროკრუსტეს სარეცელზე დაწვენა" რაიმეს ჩარჩოებში იძულებით ჩასმის, რაიმეს იძულებითი გაგრძელება-გაზვიადების ან შეკვეცა-შემოკლების აღსანიშნავად გამოიყენება.

პრომეთე, პრომეთეს ცეცხლი

პრომეთესთანაა დაკავშირებული ადამიანთა მოდგმისათვის მრავალი სიკეთის მოტანა. მითოლოგიის მიხედვით თვით მან შექმნა ადამიანი და შემდეგ მარად ზრუნავდა მისი კეთილდღეობისათვის. ყველაზე მეტად მაინც პრომეთესაგან ადამიანებისათვის ცეცხლის გადაცემაა ცნობილი.

რადგანაც ადამიანებისათვის ცეცხლის აღმოჩენას და დაპატრონებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ადამიანთა გონება ამას

პრომეთეს სახელთან აკავშირებდა, რადგანაც ამისათვის პრომეთემ უდიდესი ტანჯვა-წვალება გადაიტანა, შეიქმნა მბატვრული გამოთქმა „პრომეთეს ცეცხლი", რაც დიადი და ძვირფასისაკენ მისწრაფების აღსანიშნავად იხმარება. თვით სიტყვა პრომეთე||პრომეთეოსი კი ზოგად სახელად იქცა და დიადის, ძლიერისა და ზეაღმატებულის, ხალხისათვის თავდადებული გმირის სიმბოლოდ გამოიყენება. „ვარ გულმხურვალე პრომეთეოსი, ჩემი სამშობლო საქართველოსი" (გ. ლეონიძე).

პური არსობისა

„სახარებაში" (მათე, 6, II) გვაქვს ასეთი წინადადება: „პური ჩვენი არსობისაი მომეც ჩუენ დღეს". გადატანით არსებობის აუცილებელ პირობას ნიშნავს.

რომულუსიდან

[illegible] თანახმად რომის დამაარსებელია რომულუსი. რომი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და გამოთქმა „რომულუსიდან" ნიშნავს „უძველესი დროიდან", „დასაბამიდან".

რუბიკონის გადალახვა

ჩვენს ერამდე 49 წელს, რომის სენატის აკრძალვის მიუხედავად, იულიუს კეისარმა სახელოვანი არმიით გადალახა მდინარე რუბიკონი, რომელიც უმბრიასა და ჩრდილოეთ იტალიას შორის გაედინება. გადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა რაიმე აკრძალულის, ძნელად გასაკეთებელის გაკეთებას ნიშნავს.

სამი გრაცია

ბერძნულ ქარიტებს რომში გრაციებს ეძახდნენ. ისინი სილამაზის, მხიარულებისა და ქალური მიმზიდველობის ღვთაებებად მიაჩნდათ. „სამი გრაცია" „სამ სიმშვენიერეს" ნიშნავს. მათი ბერძნული სახელებია: ევფროსინე (მხიარულება), თალია (სიამოვნება) და აგლაია (ბრწყინვალება). გამოთქმას ზოგჯერ ირონიული ნიუანსიც აქვს.

სარდინიული სიცილი (ღიმილი)

ბოროტ, გულღრძო, გამაღიზიანებელ სიცილს, დაცინვას, ღიმილს უწოდებენ ასე. ასეთი მნიშვნელობით გვხვდება იგი მაგალითად „ილიადაში" (7, 202). ძველ კომენტატორებს მიაჩნიათ, რომ გამოთქმა კუნძულ სარდინიაზე არსებული შხამიანი მცენარის მიხედვით წარმოიშვა. თურმე ამ მცენარის შხამგარეული საჭმელის ჭამით ადამიანები კვდებოდნენ და მიცვალებულებს მოღიმარი სახეები რჩებოდათ.

სემირამიდას ბაღები

სემირამიდა არის ასირიის ნახევრადმითიური დედოფლის (IX ს. ჩვენს ერამდე) — შამურამატის გაბერძნულებული სახელი, რომელ-

საც მრავალი მითი და ლეგენდა უკავშირდება. თითქოს მან დააარსა მრავალი ქალაქი, მათ შორის ბაბილონი და ეგრეთწოდებული სემირამიდას ჩამოკიდებული ბაღები გააშენებინა. ეს ბაღები სინამდვილეში ჩვენს ერამდე მეექვსე საუკუნეში გაუშენებიათ მეფე ნაბუქოდონოსორის დროს ამ უკანასკნელის მეუღლის სურვილით, მაგრამ. როგორც ჩანს, ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული. მას სემირამიდას ბაღებად იცნობენ. კარგახანია გამოთქმა პოეტური ლექსიკის კუთვნილება გახდა.

სიზიფოსის||სიზიფეს შრომა

ვადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა მძიმე. დაუსრულებელ უშედეგო და უსარგებლო შრომას ნიშნავს. მითის მოკლე შინაარსი, საიდანაც ეს გამოთქმა მომდინარეობს, ასეთია: ქალაქ კორინთოს დამაარსებელი და მეფე სიზიფოსი მეტად მოხერხებული და მატყუარა იყო. იგი თვით ღმერთებსაც კი გააცურებდა ხოლმე. მან სასახლეში შეიტყუა სიკვდილის ღმერთი თანატოსი და რამდენიმე ხანს დატყვევებული ჰყავდა. როდესაც თანატოსი ომის ღმერთმა — არესმა გაათავისუფლა, თანატოსმა პირველი სიზიფოსი მოკლა და მისი სული ჰადესში წაიყვანა. სიზიფოსმა იქიდანაც სცადა გამოსვლა. მაგრამ ჰერმესს უკანვე მიაყვანინეს იგი და ღმერთებმა მძიმე სასჯელი დაადეს: ხევიდან მაღალი მთის წვერზე უზარმაზარი ლოდის აგორება დაავალეს. დიდი ჭაპანწყვეტითა და ოფლის ღვრით აჭრონდა სიზიფოსს ლოდი მთის წვერამდე, მაგრამ ღვთაებრივი განგებით ზედ მთის წვერიდან ლოდი კვლავ უგორდებოდა და კვლავ და კვლავ გრძელდებოდა და მეორდებოდა მისი მომქანცველი, მძიმე. უშედეგო და უსასრულო შრომა.

სირინოზის ხმა

კარგ მომღერალზე ვამბობთ ხოლმე — „სირინოზის ხმა აქვსო". იგივე შეიძლება ითქვას ვინმეზე დაცინვით, ვისაც მეტად არამუსიკალური ხმა აქვს. გამოთქმა ძველბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს. მითების თანახმად იტალიის სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ უცნაური ქალიშვილები, რომლებიც უტკბილესი სიმღერით ხიბლავდნენ ახლოგამვლელ მგზავრებს, თავისთან მიჰყავდათ და შემდეგ ხოცავდნენ. მათ სხეულის ზემო ნაწილი ქალისა ჰქონდათ, ქვედა კი — ფრინველის. ამათ სირინოზები ერქვათ. ჰომეროსის „ოდისეას" მიხედვით ისინი სკილასა და კირკეს კუნძულს შორის მდებარე პატარა კუნძულზე ბინადრობდნენ. მათ კუნძულთან რაელისას ოდისევსმა თანამგზავრებს ყურები ცვილით ამოუგმანა, საკუთარი თავი კი მტკიცე თოკებით ანძაზე მიაკვრევინა და ბრძანა,

არავითარ შემთხვევაში არ აეშვათ იგი, სანამ სირინოზების კუნძულს არ გაშორდებოდნენ, რომ მათი სიმღერით მოხიბლული ზღვაში არ გადამხტარიყო და მათთან არ წასულიყო. სირინოზების კუნძულს ჩაუარეს არგონავტებმაც, მაგრამ კუნძულს რომ მიუახლოვდნენ, ორფევსმა სიმღერა დაიწყო, სირინოზების ხმა დაჩრდილა და მათ ასე მშვიდობით ჩაიარეს ეს საშიში ადგილი. სირინოზებს ზოგჯერ „სირინებსაც" ეძახიან.

სიუხვის რქა

სიმდიდრისა და დოვლათის სიმბოლოა ეს გამოთქმა. აბლადშობილი ზევსი რომ კრეტაზე გადამალეს, მას ძუძუს თხა ამალთეა (ზოგი ვარიანტით ამალთეა ფერია იყო) აწოვებდა. როდესაც ეს თხა მოკვდა, ზევსმა იგი ვარსკვლავად აქცია, მის რქებს კი ისეთი ძალა მიმადლა, რომ მფლობელისათვის ყოველივე სასურველი მიენიჭებინათ.

სხვა მითის მიხედვით მდინარის ღვთაება აქელოოსი ჰერაკლესთან ბრძოლის დროს ხარად გარდაისახა. ამ ხარს ჰერაკლემ რქა მოტეხა და შემდეგ ეს რქა იქცა ეგრეთწოდებულ სიუხვის რქად. ეს ძალა რქას აქელოოსის ქალიშვილებმა — ნაიადებმა მიანიჭეს.

სკილა და ხარიბდა

ვადატანითი მნიშვნელობით ეს გამოთქმა ორივე მხრიდან მოსალოდნელ დიდ საშიშროებას ნიშნავს.

მითები გვიამბობდნენ, რომ კონტინენტურ იტალიას და სიცილიას შორის მდებარე სრუტეში, ერთ-ერთ მღვიმეში ცხოვრობდა ექვსთავიანი, გრძელკისრებიანი და თორმეტფეხიანი მყეფავი ურჩხული. თითოეულ პირში მას კბილების სამი რიგი ჰქონდა. მის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა მეორე ურჩხული — ხარიბდა და მათ შორის მოქცეული მგზავრები (მეზღვაურები) სამშვიდობოზე იშვიათად თუ გავიდოდნენ. აი, ამიტომ დამკვიდრდა მხატვრულ აზროვნებაში ეს გამოთქმა.

სოლომონის სამსჯავრო

ერთხელ სოლომონ ბრძენთან ორი მომჩივანი ქალი მივიდა და მოახსენეს, რომ თანატოლი და ერთიმეორისაგან ძნელად გასარჩევი ვაჟები ჰყავდათ. ერთი ამტკიცებდა, რომ ამ, მისმა მეზობელმა ქალმა წინა ღამით ძილში დაახრჩო თავისი ვაჟი, ხოლო როცა გაიგო ამის შესახებ, თავისი მკვდარი ვაჟი მე გადმომიწვინა, ჩემი კი მან წაიყვანაო. მეორე საპირისპიროს აცხადებდა, სოლომონმა ხმალი ამოიღო და განაცხადა: რაჰან ასეა, ცოცხალი ვაჟი შუაზე გავკვეთოთ, ნახევარი ერთს გქონდეთ და ნახევარი მეორესო... ერთი შეევედრა

მსაჯულს. ასე არ ექნათ, მეორე კი დათანხმდა... სოლომონმა ვაჟი პირველს არგუნა.

აქედან განმდინარე, „სოლომონის სამსჯავროს“ უწოდებენ სწრაფად და გონივრულად გამოტანილ განაჩენს.

სპირიდონ მცირიშვილი

ამ სახელით განათლებულ, მაგრამ გამხდარ, უნიათო და უსუსურ მამაკაცს მოვიხსენიებთ. გამოთქმას საფუძვლად უდევს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ტარიელ მკლავაძე“ მოქმედი პირის — სპირიდონ მცირიშვილის სახე.

სფინქსი

ძველ ეგვიპტეში მრავლად გვხვდებოდა ფანტასტიკურ არსებათა გამოსახულებები, რომლებიც ფარაონების ან წმინდა ცხოველების სულის განსახიერებად მიაჩნდათ. მათ ლომის ტანი და ადამიანის თავი ჰქონდათ. სფინქსებმა ჩვენს დრომდეც საკმაო რაოდენობით მოაღწია. სფინქსის კულტი ეგვიპტიდან საბერძნეთში გადავიდა, სადაც იგი ცოცხალ არსებად წარმოიდგინეს და ასეთი მითი შექმნეს.

თებეს ერთ-ერთ მთავარ კარიბჭესთან სფინქსი კლდეზე ჩამოჯდა და გამვლელ-გამომვლელებს გამოცანას ეუბნებოდა: რა არის, რაც დილით ოთხი ფეხით დადის, შუადღისას—ორით და საღამოს—სამით. გამოცანას ვერავინ ახსნიდა და სფინქსი ყველას ჭამდა. ბოლოს გამოცანა ოიდიპოსმა გამოიცნო — ეს არის ადამიანი, რომელიც ერთ წლამდე ოთხით დადის, შემდეგ — ორი ფეხით, მოხუცებულობისას კი მესამე ფეხად ყავარჯენს იყენებს ხოლმეო.

ამ მითის გათვალისწინებით ახლა სფინქსს უწოდებენ გამოუცნობ რაიმეს, აუხსნელ მდგომარეობას ან უცნაურ, გულჩათხრობილ კაცს, რომლისაც არავინ არაფერი იცის.

ხვის დაკრულზე ცეკვა

ვამოთქმა არა საკუთარი სურვილით, არამედ სხვისი ბრძანებით ან მითითებით მოქმედებას ნიშნავს. ჰეროდოტე გვიამბობს: სპარსეთის მეფე კირიოსმა რომ მიდია დაიპყრო, მცირეაზიელმა ბერძნებმა, რომელთა მიმხრობას იგი ადრევე ცდილობდა, ქედი მოიხარეს და შეპირდნენ, რომ ყველაფერს დაუჯერებდნენ. კირიოსმა მათ ასეთი არაკი უამბო: ერთი ფლეიტისტი თევზებით სავსე ზღვის პირას დადგა და ფლეიტის დაკვრა დაიწყო იმ იმედით, რომ თევზები ხმელეთზე ამოვიდოდნენ. როცა ეს არ მოხდა, ბადე მოუსვა, ბევრი თევზი ამოიყვანა და მათ რომ ბადეზე ფართხალი დაიწყეს, ფლეიტისტმა მიმართა: გეყოფათ ცეკვა, როცა მე ვუკრავდი,

მაგინ რატომ არ ინებეთ ხმელეთზე ამოსვლა და ცეკვაო... ამით კორიოსმა ბერძნებს კარგად აუხსნა მათ შორის დამოკიდებულება.

ტალანტი

ტალანტი ფულის ერთეულია, იგი დაახლოებით ჩვენს ორას მანეთს უდრის. ფულის ეს ერთეული ძველთაგანვე გამოიყენებოდა ისრაელში, შემდეგ კი საბერძნეთსა და სხვა ძველ ქვეყნებში იგი წონის ერთეულადაც ითვლებოდა. მოგვიანებით კი, ჩანს ბიბლიური თქმულების მიხედვით, მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და რაიმე საქმიანობაში დიდ უნარს, ნიჭს ეწოდა.

ტალანტის მიწაში დაფლვა

რაიმე სახმარის გამოუყენებლად, უსარგებლოდ შენახვას „ტალანტის მიწაში დაფლვას“ ვეძახით. „სახარების“ მიხედვით ერთი მდიდარი კაცი სხვაგან წავიდა და თავისი ქონება ქვეშევრდომებს დაუტოვა. ერთს მისცა ხუთი ტალანტი, მეორეს — ორი, მესამეს — ერთი. პირველმა ორმა ეს ქონება ბრუნვაში გაუშვა და დიდი მოგება ნახა, მესამემ კი მიწაში ჩაფლა, არ დამეკარგოსო — პატრონს შეუნახა. როცა პატრონი დაბრუნდა და ფული მოითხოვა, პირველმა ორმა ორმაგად დაუბრუნა და პატრონის ქება დაიმსახურა, მესამემ კი უთხრა, რომ მიწაში ჰქონდა დაფლული, არაფერი მოგება უნახავს და ახლა თავისსავე ფულს უბრუნებს. მეპატრონემ უვარგისი მსახური გალანძღა ასეთი უქნარობისა და უნიათობისათვის.

ტანტალოსის სატანჯველი

ამ გამოთქმას დიდი და მარადიული ტანჯვის გამოსახატავად ხმარობენ.

ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად ტანტალოსი ზევსისა და მოკვდავი ქალის შვილი იყო. მან ღმერთების დიდი ნდობა დაიმსახურა და მათ საბჭოებსა და ნადიმებზე დასწრების უფლება მოიპოვა. შემდეგ ტანტალოსმა ადამიანებს ღმერთთა საიდუმლოებანი გაუმხილა (ზოგი მითის მიხედვით მან ღმერთებს მათთვის მარადიული სილამაზისა და სიცოცხლის მიმნიჭებელი ნექტარი და ამბროსია მოპარა. იმასაც ამბობენ, რომ ღმერთების ყოვლისმცოდნეობაშიც ეჭვი შეეპარა, გამოცდის მიზნით ერთხელ ისინი შინ მიიწვია და სადილად თავისი ვაჟის ხორცი მიართვა). განრისხებულმა ღმერთებმა საშინელი სასჯელი დაადეს ტანტალოსს. როცა იგი სულების ქვეყანაში გადასახლდა, ყელამდე წყალში იდგა, მაგრამ საშინელი წყურვილი ტანჯავდა, მის თავზე ყველანაირი ხილით დახუნძლული ხეები გადმოხრილიყო, ტანტალოსს კი ლამის საკუთარი შიგნეულობა ამოეჭამა შიმშილისაგან გაგიჟებულს — თუ რომე-

ლიმესაკენ გაიწევდა. წყალიც და ხეთა ტოტებიც ვაურბოდნენ და ბარადიული, საშინელი სატანჯველით ასე იტანჯებოდა.

ტარიელ მკლავაძე

ეს ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოქმედი პირი ძალმომრეობისა და პირუტყვული მოქმედების განსახიერება. ტარიელ მკლავაძე სპირიდონ მცირიშვილმა მოკლა უსინდისობისა და არაადამიანური საქციელისათვის. გადატანითი მნიშვნელობით ძალმომრეობას, პირუტყვულ სიძლიერეს და მასზე დამყარებულ ქმედებას ნიშნავს. „ტარიელ მკლავაძეობის დრო წავიდა", ხშირად გაიგონებთ ჩვენში.

ტარტაროზი

ბერძნული მითოლოგიისა და რელიგიის მიხედვით ტარტაროზი არის ადგილი მიცვალებულთა ქვეყანაში, სადაც დამნაშავეები და ცოდვილები სიკვდილის შემდეგ ხვდებიან. ტარტაროზი ზოგჯერ ბოროტ არსებად, ეშმაკების მეთაურადაა გაგებული. გადატანით ნიშნავს ავ, ბოროტ ადამიანს.

ტიტანი

ძველბერძნული მითოლოგიით ტიტანები ურანოსისა (ცის) და გეას (დედამიწის) ვაჟები იყვნენ. ისინი კრონოსის მეთაურობით ძველი თაობის ღმერთებს შეებრძოლნენ და დაამარცხეს კიდეც. ტიტანები განუზომელი ძალისა და ნებისყოფის მქონენი იყვნენ. ამიტომაც ახლა ტიტანს ვუწოდებთ პიროვნებას, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავებს დიდად აღემატება... პოლიტიკაში, ხელოვნებაში, სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უნაყოფო ხე

„სახარების" ნიხედვით (მათე, 21, 19) ქრისტე მოგზაურობის დროს ერთ ლეღვის ხეს წაადგა და მოისურვა, ნაყოფი გაესინჯა, ნაგრამ ხე უნაყოფო აღმოჩნდა. ქრისტემ დაწყევლა იგი და ლეღვის ხე გახმა. როგორც ვხედავთ, ქრისტეს არ მოეწონა თვით ხეც კი, რომელსაც არაფერი სარგებლობა მოაქვს ადამიანებისათვის... გადატანით ნიშნავს უშვილო ადამიანს, ნებისმიერ საქმეს, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს საზოგადოებისათვის.

ურწმუნო თომა

ურწმუნო თომას ეძახიან ისეთ ადამიანს, რომელიც არამც და არამც არ დაიჯერებს სხვის ნათქვამს, რაგინდ სარწმუნოც არ უნდა იყოს იგი. გამოთქმა „სახარებიდან" მომდინარეობს. როდესაც ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და თავის მოწაფეებს გამოეცხადა, ერთ-ერთი მოწაფეთაგანი — თომა იქ არ იმყოფებოდა. როდესაც მას ამის

ესახებ უთხრეს და არწმუნებდნენ, რომ ქრისტე ნამდვილად აღსდგა მკვდრეთით. თომა მაინც არ იჯერებდა და გაიძახოდა: ვერა, ვერ დავიჯერებ, ქრისტეს და მის ხელ-ფეხზე სამსჭვალთაგან მიყენებულ ნაჭრილობევებს სანამ ჩემი თვალით არ ვნახავო.

ფარისეველი

ეს სიტყვა თავის დროზე არსებითი სახელი იყო, ახლა კი ზედსარდავ სახელადაა გაგებული და ნიშნავს ისეთ ადამიანს. რომელიც ერთს ფიქრობს და მეორეს ამბობს, ყველანაირად ცდილობს, მოსაუბრეს თავი კეთილად მოაჩვენოს, სინამდვილეში კი გულბოროტი და მისთვის ავისმზრახველია. გამოთქმაც და სიტყვაც „ბიბლიიდან" მომდინარეობს და არის არამეული „ფარიშაიას" ბერძნულ-ქართული გახმოვანება. არამეულ ენაზე იგი, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, „ვანცალკევებულს" ნიშნავს. ფარისეველობა რელიგიურ-სექსტანტური მიმდინარეობა იყო ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის ბოლომდე. „საბარების" მიხედვით ისინი (ფარისეველები) ხასიათდებოდნენ ისევევე თვისებებით, როგორც დღეს გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ფარსადანი

საქართველოს სახალხო გმირი — არსენა ოძელაშვილი. როგორც ამას ხალხური არსენას ლექსი და რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები გვაუწყებს, მოტყუებით მიიპატიჟა სახლში საკუთარმა ნათლიმამამ — ფარსადან ბოდბისხეველმა. ნასვამი და მძინარი გათოკა და ძთავრობას მიჰგვარა, რადგან ეგონა, რომ ამ „დამსახურებისათვის" დიდ ჯილდოს მისცემდნენ. მათ არ დაუფასეს ფარსადანს ეს „ღვაწლი" და გაწბილებული გამოაგდეს გარეთ. ახლა ფარსადანს ვუწოდებთ ერისა და ქვეყნის მოღალატეს, საერთოდ გამყიდველს. რომელსაც ვერ შეუმეცნებია, რომ „სიკეთეს" არ დაუფასებენ უცხოტომელები.

ფენიქსი

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით არაბეთიდან ეგვიპტეში ხუთას წელიწადში ერთხელ მიფრინდებოდა ხოლმე მოოქროსფერომოალისფრო არწივი. რომელსაც ფენიქსს ეძახდნენ. სხვადასხვა მითების მიხედვით, როდესაც ფენიქსი 500, 1461 თუ 7006 წლისა გახდა. თავი დაიწვა, ფერფლიდან გაახალგაზრდავებული წამოდგა და კვლავ განაგრძო ცხოვრება. ამიტომაც. თანამედროვე გაგებით. ფენიქსი განახლებად, აღდგენად რაიმეს. მარადისობას, განახლებას, კვლავ აღდგენას ნიშნავს.

ფერია

ლამაზ, სათნო სახისა და ხასიათის ქალიშვილებს ვეძახით. დაახლოებით ამავე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა ანგელოსი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ფერიები იყვნენ ტყეებსა და ველებში მცხოვრები მშვენიერი ქალიშვილები, სიკეთისა და სილამაზის განსახირებანი და ხელოვნებაშიც ასევე წარმტაც, ყმაწვილ ქალებად გამოისახებოდნენ.

ფორტუნა

რომაული მითოლოგიის მიხედვით ფორტუნა ბედნიერების, წარმატების, შემთხვევით მოპოვებული სიკეთის მფარველი ქალღმერთი იყო. თითქოს მის ნებაზე გახლდათ დამყარებული ცალკეული პირის ბედი და უბედობა. ფორტუნა ლამაზ ქალად გამოისახებოდა, ხელში სიუხვის რქა ეჭირა და იქიდან მონეტებს ყრიდა. გადატანითი მნიშვნელობით ფორტუნა ბედს ნიშნავს, ხოლო „ფორტუნამ ზურგი მაქცია" — ბედნიერების დაკარგვას, ბედის ბორბალის უეცარმა დატრიალებას. გამოსახულებებში ფორტუნა ზოგჯერ სფეროზე ან ბორბალზე დგას. აქედანაა გამოთქმა „ფორტუნას ბორბალი", რაც ბედის ცვლას, საერთოდ ცვალებადობას ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობისაა ბედის ბორბალი.

ფრთიანი სიტყვა

გამოთქმა ჰომეროსის პოემებიდან მომდინარეობს. იგი ეპიკური ფორმულაა. ჰომეროსის თქმით, ფრთიანი სიტყვებით (ეპეა პტერეონტა) ერთმანეთს ხშირად მიმართავენ ხოლმე მისი პოემების მოქმედი პირები.

ფული არ ყარს

როცა რომის იმპერატორმა — ვესპასიანემ (69—79) საზოგადოებრივ საპირფარეშოებზე გადასახადი დააწესა, შვილმა — ტიტუსმა უსაყვედურა, სირცხვილიაო... მაშინ აქედან აღებული პირველი ფული მამამ მას ცხვირთან მიუტანა და ჰკითხა, ყარს თუ არაო. შვილმა რომ უარყოფითი პასუხი გასცა, მამამ მიუგო: ჰოდა, ეს ხომ შარდიდან მომდინარეობსო. ამას ეყრდნობა იუვენალის ლექსის სტრიქონიც: „ყოველგვარ შემოსავალს კარგი სუნი აქვს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი". ამავე გაგებით იხმარება ახლა ეს გამოთქმა — რა ბინძური გზითაც არ უნდა შეიძინო ფული, იგი მაინც სასიამოვნო და სასიხარულოა... გამოთქმაც და აზრიც, ცხადია, მიუღებელია კულტურული და ჰუმანური საზოგადოებისა და ყოფიერებისათვის.

ფურია

მრისხანე დედაკაცს ვუწოდებთ. ძველი რომაული მითოლოგიის

მიხედვით ფურიები მიწისქვეშა სამყაროს დემონები არიან — დაახლოებით ისეთივენი, რაგორიც ბერძნული ერინიები. ითვლებოდნენ შურისძიებისა და სინდისის ქეჯნის ღვთაებებად, სდევნიდნენ დამნაშავეებს.

ქამელეონი

ქამელეონი ხვლიკის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა გარემოპირობების შესაბამისად, ჩქარა იცვალოს კანის ფერი. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ცვალებად, ცბიერ ადამიანს, რომელიც დროისა და მდგომარეობის შესაბამისად იცვლება.

ქარის წისქვილთან ბრძოლა

ეაზრო, გაუმართლებელ ბრძოლას ნიშნავს, როცა არაა რეალური მოწინააღმდეგე, როცა მოჩვენებით მოწინააღმდეგეს ებრძვის ვინმე. მოიხსენიებს სერვანტესის „დონ კიხოტიდან“, იგი ებრძოდა ქარის წისქვილებს. შეესაბამება გამოთქმა „ღია კარის მტვრევა“.

ქვრივის შესაწირავი

„სახარების“ (მარკ. 12. 41—44) მიხედვით ქრისტე აფრთხილებს ხალხს: ვინც ქვრივს რაიმეს შეუჭამს ან წაართმევს, მეტი სიმკაცრით დაისჯება. მერე ქრისტე შესაწირავთან დაჯდა და ნახა, რომ მდიდრებმა ბევრ-ბევრი შესაწირავი მოიტანეს, ერთმა ქვრივმა კი— მხოლოდ ორი კოდრანტე. იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ ამ ქვრივმა ყველაზე მეტი შესაწირავი გაიღო, რადგან „მდიდრებმა „ნამეტნავისაგან მათისა დადვეს“, ხოლო ამ ქვრივმა — ყოველი. რაიცა აქუნდა“. გამოთქმა გამოხატავს ისეთ შესაწირს ან საქმეს, რომელიც გარეგნულად თითქოს მცირეა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან დიდი.

ქიმერა

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულია. ზოგი აღწერილობით მას აქვს ლომის თავი, თხის ტანი და დრაკონის ზურგი. ჰესიოდეს „თეოგონიას“ მიხედვით ქიმერას აქვს ლომის, თხისა და დრაკონის თავები. გადატანითი მნიშვნელობით ქიმერას რაიმე გამოუცნობს, საშინელს ვუწოდებთ („სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“ — გალაქტიონი).

ღმერთს ღმერთისა და კეისარს კეისრისა

გამოთქმა ნიშნავს, რომ ყველამ თავისი შესაბამისი უნდა მიიღოს ‘ისჯელიც და ჯილდოც. მომდინარეობს „სახარებიდან“ (მათე, 22, [illegible]

ყვარყვარე

ყვარყვარე თუთაბერი პოლიკარპე კაკაბაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირია, რომელმაც შემთხვევით მიაღწია დიდ თანამდებობას და თავისი უვიცობით ხშირად დიდ გასაჭირში ვარდებოდა, მაგრამ გარკვეულ დრომდე მაინც პარპაშებდა. ამის მიხედვით „ყვარყვარე" საზოგადო სახელად იქცა და ნიშნავს დიდ თანამდებობაზე მყოფ უვიც სახელმწიფო მოღვაწეს.

ყურებზე ხახვი არ დამაჭრა

იხილე ყურმოჭრილი ყმა.

ყურმოჭრილი ყმა

გამოთქმა წმინდა ქართული წარმომავლობისაა. როგორც მეცნიერებას მიაჩნია, ძველ საქართველოში ყმისათვის ყურის მოჭრის ჩვეულება ყოფილა გავრცელებული. ყურმოჭრილ ყმას მებატონისაგან გაქცევა აღარ შეეძლო და მის უერთგულეს (იძულებით) მსახურად ითვლებოდა. ყოფილა იმისი შემთხვევაც, რომ ნამდვილად ერთგულ ყმას ბატონის პატივისაცემად თავისი სურვილით მოუჭრია საკუთარი ყური. ამჟამად გამოთქმა ყურმოჭრილი ყმა ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი ქონებრივი, დანაშაულებრივი თუ სხვა რაიმე მდგომარეობით იძულებულია იაროს ვინმეს ჭკუაზე, ვინმეს სასიამოვნოდ.

ადამიანებს რომ ყურს აჭრიდნენ, მოშუშების მიზნით ჭრილობაზე დაკეპილ ხახვს აყრიდნენ. აქედან წარმოიშვა გამოთქმა „**ყურებზე ხახვი არ დამაჭრა**", რაც ნიშნავს: ერთბაშად, მე შენი მონა, ყმა არ ვიყავ, შენ ყური არ მომაჭრა და მერე ზედ ხახვი არ დამაჭრა მოსაშუშებლადო. ესე იგი, ვერაფერსაც ვერ მიზამ, ძალიანაც რომ მოინდომოო.

შეიცან თავი შენი

ასეთი წარწერაა აპოლონის ტაძარზე დელფოში. ბერძნულად იგი ასე ჟღერს: „გნოსთი სე აუტე". გამოთქმა შვიდი ბერძენი ბრძენიდან ერთ-ერთს მიეწერება და ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა გაიცნობიეროს თავისი არსებობა.

შერმადინი

შერმადინს ერთგულ, უფროსისათვის თავდადებულ ქვეშევრდომს ვუწოდებთ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით. შერმადინი ხომ ავთანდილის უერთგულესი ქვეშევრდომი იყო.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს

ასე ვამბობთ მაშინ, როცა ჩვენს სიკეთესა და გარჯას ჩვენივე მახლობელი ადამიანები ვერ ხედავენ, არ აფასებენ. გამოთქმა „სახა-

ლებიდან“ მომდინარეობს (მათე, 13, 57; მარკოზი, 6, 4; ლუკა, 4, 24; იოანე, 4, 4).

ა. წერეთელი აღნიშნავს: „მეფე და მთავრებიც შენდობას სთხოვდნენ მღვდელს და ხელზე ეამბორებოდნენ; მხოლოდ ბატონები თავის საკუთარ მღვდლებს, რადგანაც სულ ერთად იყვნენ, არა ჰკოცნიდნენ ხელზე — ამიტომაც დარჩენილა ჩვენში ანდაზა: „შინაერ მღვდელს შენდობა არა აქვსო“ („ჩემი თავგადასავალი“).

შიოს მარანი

ქრისტიანული წელთაღრიცხვის VI საუკუნეში საქართველოში მოვიდა ცამეტი ასურელი წმინდა მამა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო შიო, რომელსაც შემდეგ შიო მღვიმელი ეწოდა. იგი ცხოვრობდა და ნოღვაწეობდა ახლანდელ შიომღვიმის მონასტერში. ამბობენ, რომ მას მონასტერში კარგი მარანიც ჰქონდა და მისულ მლოცველებს ღვინით უმასპინძლდებოდა, მაგრამ მისი ქვევრი არასოდეს იცლებოდა... ცოტა ძირს რომ დაწევდა, ღვთაებრივი განგებით კვლავ პირამდე ივსებოდა. ამ თქმულებიდან წარმოიშვა გამოთქმა „შიოს მარანი“ — სიმდიდრის, დოვლათის, გამოულეველი და ამოუწურავი ქონების აღსანიშნავად.

გამოთქმის წარმოშობას შეიძლება მეორე მიზეზიც ჰქონდეს. კერძოდ ის, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც მეღვინეობაა გავრცელებული, შიოობის წინა ღამეს ხდიან ღვინით სავსე ქვევრს, ხელადას ააავსებენ და ღამით თავლიას ტოვებენ მარანში. მიაჩნიათ, რომ ღამით მოვა შიო, ხელადიდან ცოტას მოსვამს, ჭერ-მარანსა და მის პატრონს დალოცავს და წავა. ამიტომ დილით დიდი ინტერესით ნახულობენ დატოვებულ ხელადას — აკლია თუ არა ღვინო, ესე იგი, იყო თუ არა შიო მარანში. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ შიო ძველ საქართველოში მევენახეობის მფარველი ღვთაება იყო და ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ მისი კულტი აირია ისტორიულად არსებული წმინდა მამის — შიო მღვიმელის კულტში.

ჩაილურის წყალი დალია

გამოთქმა ნიშნავს: წავიდა, დაიკარგა, გარდაიცვალა. ჩაილური პატარა მდინარეა გარე კახეთში, ძველ საქართველოში, ქართლიდან მიმავალი კაცი რომ ამ ჭალინარეს გადაივლიდა, ძნელად ბრუნდებოდა უკან, იქ ბევრი ხიფათი ელოდა. ასეთივე აზრისაა გამოთქმა „მარილზე წავიდა“.

ჩხირი ცედელს

გამოთქმა უძველესი წარმოშობისა ჩანს. მიაჩნიათ, რომ იგი დამწერლობის წარმოშობამდეა შექმნილი. როდესაც რაიმე მნიშვნელო-

ვანი ამბავი მოხდებოდა, ან რაიმე დიდი, ღირსშესანიშნავი და სამახსოვრო საქმე გაკეთდებოდა, ამის ალსანიშნავად და სამახსოვროდ უფროსი ხელქვეითს უბრძანებდა, ტინის კედელში ჩხირი ჩაერჭო, ან ნახშირით კერიაზე აღნიშვნა გაეკეთებინათ. აი, აქედან წარმოიშვა გამოთქმები: „ჩხირი კედელს", „კერიას ნახშირი". ასე მაშინ ვამბობთ, როდესაც ისეთი ვინმე მოვა, რომელსაც სინამდვილეში უკვე დიდი ხანია ველოდებოდით, (ანდა პირიქით. მაშინ გამოთქმას აქვს ირონიული ხასიათი), ანდა გაკეთდება ან მოხდება რაიმე ისეთი, რომელიც ადრე უნდა მომხდარიყო და ახლა, როგორც იქნა, დაადგა საშველი.

ციკლოპი

ციკლოპი ლათინურად და კიკლოპი ბერძნულად ეწოდება. მითოლოგიურ პერსონაჟს, ბუმბერაზ, კაცისმაგვარ არსებას, რომელსაც შუბლის შუაში ერთადერთი თვალი აქვს. ეს თვალი მრგვალია და სიტყვა-სიტყვით ბერძნულ „კიკლოპს" ქართულად „მრგვალთვალა" ან „წრეთვალა" შეესაბამება. ადამიანებთან შედარებით ციკლოპი სიძლიერით, სხეულის უხეშობით და სიმახინჯით გამოირჩეოდა. ამიტომაც კიკლოპურს ან ციკლოპურს დღესაც ვუწოდებთ ხოლმე ისეთ ნაგებობას, რომელიც უზარმაზარი ლოდებით არის აშენებული. ამჟამად კიკლოპს ან ციკლოპს დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ტლანქი შესახედაობის მქონე ულამაზო მამაკაცებს ვუწოდებთ, მითუმეტეს მაშინ, თუ იგი ცალთვალა.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კიკლოპები მჭედლობის ღმერთს — ჰეფესტოს ეხმარებოდნენ ხოლმე და ამიტომ ამჟამად კიკლოპებს მჭედლებსაც უწოდებენ.

ცოტნე დადიანი

ყველა ქართველისათვის კარგადაა ცნობილი ისტორიული გმირი— ცოტნე დადიანი. გადატანითი მნიშვნელობით მეგობრებისათვის, ბილობლებისა და მამულისათვის თავდადებულ ადამიანს ნიშნავს.

ხელი დამიბანია

პილატემ რომ ქრისტე ბრბოს გადასცა საწამებლად, მათ წინაშე ხელები დაიბანა და განაცხადა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა" (მათე, 27, 24). ახლა ასე ვამბობთ იმ შემთხვევაში, როცა ვაცხადებთ, მე ამ საქმეში აღარ ჩავერევი, არ მივიღებ მონაწილეობასო.

ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა

ასე ვამბობთ მაშინ, როცა რაიმე კარგს, სასარგებლოს ვქადაგებთ, სიმართლეს ვამბობთ, მაგრამ არავინ გვისმენს, არავის სურს, რომ

მოგვისმინოს. გამოთქმა ნომდინარეობს „ბიბლიიდან“ (ესაია, 40. 3..).

ჰერკულესის სვეტები

გიბრალტარის სრუტის ორივე მხარეს აღმართულ კლდეებს ძველად ჰერკულესის ანუ ჰერაკლეს სვეტებს ეძახდნენ. ერთი რიგი მითების მიხედვით ხმელთაშუა ზღვა მსოფლიო ოკეანეს არ უერთდებოდა და გიბრალტარის სრუტე ჰერაკლემ გაარღვია. სხვა მითები კი გადმოგვცემენ, რომ ეს სრუტე თავიდან უფრო განიერი იყო. მაგრამ ჰერაკლემ შეავიწროვა, რათა ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვაში ურჩხულები ვერარ შემოსულიყვნენ. აი, ამიტომ ეძახიან ამ კლდეებს ჰერკულესის ანუ ჰერაკლეს სვეტებს. ძველებს მიაჩნდათ, რომ ეს ადგილი ქვეყნის დასასრული იყო და იმის იქით უკიდეგანო მდინარე — ოკეანე მიედინებოდა. ამიტომაც გამოთქმა „ჰერაკლეს ჰერკულესის სვეტებამდე მივიდა“ ნიშნავს ყველაფერი გააკეთა. მისაღწეველს მიაღწია, ცხოვრება და შემოქმედება დაასრულა.

ჰერკულესის შრომა

ჰერკულესი ჰერაკლეს ლათინური სახელწოდებაა, ამიტომ ამ გამოთქმის ტოლფასია გამოთქმა „ჰერაკლეს შრომა“.

ბერძნული მითოლოგიის უპოპულარეს და უდიდეს გმირს ჰერაკლეს ძალზე ბევრი და მძიმე შრომა-გარჯა შეხვდა თავისი სიცოცხლის მანძილზე. მარტო ის რად ღირს, რომ მას გიბრალტარის სრუტის გარღვევა ან შევიწროება მიეწერება. სხვა ბევრ საძნელო თავგადასავალთან ერთად მთავარია მისი თორმეტი გმირობა. რომლებიც ჰერაკლემ მეფე ევრისთეუსის ბრძანებით შეასრულა. ამიტომ ახლა ჰერაკლეს ან ჰერკულესს ძლიერ, ღონიერ მამაკაცს უწოდებენ, ჰერკულესი||ჰერაკლეა შრომას კი — რაიმე მძიმე, დიდი ხალხისათვის სასარგებლო შრომის შესრულებას.

ჰეროსტრატე

იმისათვის, რომ თავისი სახელი უკვდავეყო, ეფესელმა ჰეროსტრატემ ჩვენს ერამდე 356 წელს დაწვა არტემიდე ეფესელის დიდებული ტაძარი — შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი. გადატანითი მნიშვნელობით ჰეროსტრატეს ვუწოდებთ პატივმოყვარეობით დაბრმავებულ ადამიანს, რომელიც მზადაა, დიდებისაკენ მიმავალ გზაზე ყველაფერი გაანადგუროს. „ჰეროსტრატეს დიდებას“ სამარცხვინო საქციელით განთქმულ სახელს ვუწოდებთ.

ჰიდრა

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით მრავალთავიანი, კველისებრი ურჩხული, რომელსაც ერთი თავის მოკვეთის შემთხვევაში ორი

სამაგიერო ამოსდიოდა. გადატანითი მნიშვნელობით ვუწოდებთ საშინელ. ბოროტ ძალას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელია.

ჰომერული ხარხარი

ასე ხმამაღალ. თავშეუკავებელ სიცილს ეწოდება ჰომეროსის პოემების მიხედვით (ილიადა, 1, 599, ოდისეა, 8, 326...). ოლიმპიელი ღმერთები ხმამაღლა და თავშეუკავებლად ხარხარებდნენ.

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ Გ. ᲘᲜᲐᲮᲐᲠᲘᲫᲔ
ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ჯ. ᲨᲔᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ш. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ
ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲠᲘᲙᲝ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ

ᲡᲑ—6164

ჩაბარდა წარმოებას 15.04.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.05.91 წ. ფორმატი 60×90¹/₁₆. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3.75. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 2,99. პირობითი საღებავ გატარება 3.88.
ტირაჟი 10. 000. შეკვეთა 296

ფასი 5 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის პრ. 42
თბილისი, 1991

ᲡᲡᲡᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-31.
Типография Груз. СХИ, Тбилиси-31